



ლიტერატურული მესხეთი

№12 (264)
დეკემბერი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათი წელი

"LITERATURULI MESKHETI"

*ძვირთვასო თანამემამულენო,
გილოცავთ დამრევ შობა-ახალ წელს!*

მამული

ალექსი ლონდაძე

*„ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს...“
ტიციან ტაბიძე*

გახედეთ სერებს, ზურმუხტის ფერებს,
ვარდ-ყვავილების გვირგვინად ჩანსულს,
გახედეთ მინდვრებს, ლაღანა ველებს,
სივრცეს, ო, სივრცეს, ლამაზს და ზღაპრულს.
ამ ბუმბერაზ მთებს, დევთა ნასახლარს,
ახლა რომ ცხრა ძმის სახელი ჰქვიათ,
ვინ დაუგორა ზათქით ლოდები,
ლურჯა რაშები საითკენ ჰქრიან.
ცვრიან სათიბში რად მღერის ცელი,
კლდიდან ღვთის წყარო რისთვის იღვრება,
ვინ დააქუხა ხირიმი ძველი,
ან გულში ცეცხლი რატომ ინთება?
ვინ მისცა ნება ხეობის ქარებს,
წერწეცა ალვებს ნამუსს რად ხდიან,
იქ, ჭიუხებში, ვინ აფრთხობს ვაცებს,
დაფეთებულნი კლდიდან რად ხტიან,
ვინ, ვინ აზიდა ღრუბლებზე მაღლა
კავკასიონის მთის მწვერვალები,
ვინ მიაჯაჭვა კლდეს ამირანი,
მკერდ ბუმბერაზი საცრის თვალებით.
ვინ შეაშველა ჩანჩქერებს ხელი
ქარაფებიდან გადმოვარდნილებს,

ვინ შეუმშრალა ტყემლებს ცრემლები,
ფიფქების ბარდნით გადაბარდნილებს.
გახედეთ ამ ზღვას, შელებილს ლილით,
რამ ააბორგა ავი ხველებით,
რად ეხეთქება სიპ კლდეებს რიხით,
გრიალ-ქუხილით და გახელებით.
ან ტბებს ლივლივებს რა აკანკალებთ
უფლის ჩაფიდან ჯამებში ჩასხმულთ,
რა აკაკალებს „ქარტაზე“ როჭოს,
მაყვლის ჩირგვებში ლაპებზე დასმულს.
რას გაუბანრავს ცაზე იხვეები,
მწყობრი შხუილით საით მიჰქრიან,
ვის უგზავნიან მინაზე ამბორს
და სამადლობელს რისთვის იხდიან.
მთის ნაკადულთან ტანის ცახცახით
რამ ჩაიყვანა ნუკრი ობოლი,
ნაცადი ისრით მძიმედ დაჭრილი
ვინ ჩამოაგდო თეთრი ხობობი.
ვინ მიაგორა ცას ოქროს ბურთი,
ან ასე რისთვის ააბრდღვიალა,
ვის მისთხოვდება თორღვანთ ლელა
ტანკენარი და ასე ცქრიალა.
ვინ მოაპნია თოვლის გუნდებად
გნოლისფერ მთაზე თეთრი ბატკნები,
საით მილოღავს კუთა ლაშქარი,
ვინ შეუჯავშნა რუხი ბაკნები.
ვისთვის ბუტბუტებს მტკვარი რიალა,
ვინ დაუკოცნა ტუჩები ციმორს
(ეჰ, სიყვარული ტკბილი კი არა
ჩემთვის მდულარე ცრემლებიც იყო).
ვინ გამოჩეხა ქალაქი კლდეში
და დარბაზები გასაკვირონი,

რატომ ჩუხჩუხებს თავკვერი ქვევრში,
კეთილშობილი, როგორც მირონი.
როგორ აზიდეს მძიმე ლოდები,
ვინ დადგა მთაზე წმინდა ტაძარი,
მტერსა და ორგულს წინ ვინ აღუდგა,
რომელმა გმირმა დასცა თავზარი.
ეს ვის საფლაგზე ამოდის ია,
რატომ ლაღანებს ოქროს თაველი,
სად ინაცრება ძვირფასი ძვლები
მეფე თამარის და რუსთაველის.
შეუვალ მყინვარს ჭალარა შუბლზე
რად დასტრიალებს მყივარი ქორი,
ვინ დაარისხა მცხეთის ზარები,
რატომ მეძახის ისევ დიდგორი.
შორს, კლდეთა შორის მიუვალ ქვაბში
რად აფრთიანებს არწივი მართვეს
და მოზუზუნე ნამქერის ხმაში
რატომ უყვება გმირებზე ზღაპრებს.
რატომ შეეხარი ჩემს ამაყ მოდგმას,
ტანკენარებს და თვალბეზატულებს,
რა აციმციმებს ცრიატ ვარსკვლავებს
ცაზე მარცვლებად მიმოფანტულებს.
რად მესმის ზათქი დანგრეულ თმოგვთან,
ანყურთან მხრებში რატომ ვიშლები,
რატომ ვარ ვალში გარდასულ დროსთან,
რად აიშალნენ მძიმე ფიქრები.
მწვერვალზე შემდგარს მესხნება გული,
ზემოდან დავმღერ ამ მთას და მდელის,
გეტყვით, რისთვის ღირს ამქვეყნად მოსვლა,
რომელსაც ჰქვია მას საქართველო.
ედემის ბაღის სადარებელი,
ღმერთო, მიცოცხლე ჩემი მამული,
შეგთხოვ, უფალო, კუბოსკარამდე
არ მომიშალო ეს სიყვარული!



ფოტო ჯაბა სამუშიასი

ტარიელ ხარხელაური

ჩემო ავთო!

როცა შენთან და თქვენი გაზეთისთვის გამოსაგზავნ ლექსებზე ვიფიქრე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა გამეთვალისწინებინა და ლექსებიც ამის მიხედვით შემერჩია. დამეთანხმები, დღეს ჩვენზე მეტად ჩვენს ქვეყანას უჭირს, უჭირს ეროვნულ ღირებულებათა შენარჩუნებას, უჭირს ჩვენი ერთმანეთის სიძულვილის გამო, უჭირს ჩემი და შენის მეტობით და იმ გზის ვერ პოვნით, რომლითაც ღირსეულ საქართველოში უნდა შევიდეთ, ამიტომაც ამჯერად ისეთ თემატიკას შევეურჩევ, რომელიც ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას ეხმიანება, ჩვენ საერთო ტკივილსაც ჩვენი სამშობლოს მიმართ. ვნახოთ, თუ ჩვენმა თანამშრომლობამ ივარგა და ვაზეთსაც გამოვადევით, შემდეგისთვის უფრო მრავალფეროვან პოეზიას მივცეთ თავის გამოჩენის ვასაქანი.

პატივისცემით ტარიელ ხარხელაური

ო, ღმერთო!

იქნება მაკმარო და მზეში მიმფინო ბინდებდა, რაც მინდა, ვერ მომცემს სამყარო, ვერც იმდენს, რამდენიც მჭირდება... ჩამოვრჩი ქარების ნაკვალევს, ვირღვევი, სხეულში ბზარია, მაკმარე, მაკმარე, მაკმარე, მაკმარე, მაკმარე, დედაო, მარიამ! თვალეში ამიშრე სისველე (შემინდე – ამდენს რომ ვბედავო), მიშველე, მიშველე, მიშველე, ამ ტკივილს შენცა ჰგონობ, დედაო! მაკმარე თრთოლვა და კანკალი, დათაღბულ ფერებში რინდება, ვითხოვე, ვერ მომცა სამყარომ – მჭირდება, დედაო, მჭირდება... გავშიშვლდი, ნიღბები დავყარე, ვირღვევი, სხეულში ბზარია, ო, როგორ ხარხარებს სამყარო, ო, როგორ შეშლილი ფამია!

და ყოველივე ამ წუთისოფლის რაც იყო წილკერძ, შენ ჰზიდე გულო... და ისევე ფეთქავ, რა ძალა გყოფნის იყო ახალი, და უსასრულო. ბევრი ტკივილი ატარე სისხლით, მზე ჩააცილე ბევრი მოთქმითაც, ღირსი ხარ გულო, ყველაფრის ღირსი სხვაში ყოფნისა და არყოფნისაც. წუთისოფელში შემოხვედ შფოთვით, დღეს წუთისოფლის მხოლოდ მწუხრი ხარ, არ გადაგიდგამს ნაბიჯი ჩოქვით და უფლის წინაც არ დამუხვლილხარ. მხოლოდ მამულის და შენი ქვეყნის ქედი წინ ბევრჯერ დაგიდრეკია, და ამიტომაც, შენს გვირგვინს ეკლის რტოები დაფნისაზე მეტი აქვს. შენც გჭირდა ის, რაც შენს მამულს სჭირდა, და გტანჯავს დღესაც, რაც მამულს სტანჯავს, ძილშიც – ო, ძილშიც მაჯასა ჰღრღნი და, ჰო, ეგ ნაღრღნევი გინყლულეებს მაჯას.


ილება ზეცის კარიბჭე... სულთა მიმოსვლის ფამია, ფეხზე დგებიან მწვერვალნი, მხრებს იბერტყავენ ნამიანს, ახლახანს გაღვიძებული პირი ცვრით დაუბანიათ, გაბაცდა შუქი მთვარისა, ისე ნათელი ღამეა. შეიდი ანთია სანთელი, ისმის გალობა ღვთისშვილთა, შევეყურებ თვალცრემლიანი გაოგნებული შიშითა, თქვენს სიახლოვეს სულეობ მიკრძალავთ, რაღად მიშლითა. რა ცოტა დროა, რა მალე პრეკვენ საუფლო ზარები და იხურება ნელ-ნელა ცათა კარიბჭის კარები... მიმწუხრი დედამინისა

ბეჭებზე გადამეფინა, შენელდა სისხლი ძარღვებში, ყინვამ ნელ-ნელა შეთრთვილა, გამოვტრიალდი ბარბაცით დაშაშრულ ძვლების მტვრევითა, მთვარეც გამომყვა ფერმკრთალი ცივის ნათელის ფრქვევითა. მთები კი დგანან მდუმარნი, ამ მდუმარებით განთქმულნი, ჩამოვეყუდე მათ გვერდით მათსავით ჩამოზაფრული, თეთრი ნისლეები ქარებმა ერთბაშად გადაგვახურეს, ინათა კიდეც, მიწაზე საფლავთა კარი დახურეს.

ინვის! როგორ არა – ინვის! ზეცას სისხლისფერი ღებავს, ინვის, გული ინვის მიწის – ღლებდა დედამინა, ღლებდა... ყოფნის ინურება ყვავილი, ნათლის შეიმჩნევა კლება, ფერი გაუხუნდათ ყვავილთ – კვდება დედამინა, კვდება... შიში... ყველაფერში შიში, ჯანსაღს აღარ ტოვებს მისხალს, გლოვის ფამი უდგათ ღვთისშვილთ, უფლის ახლოს არის რისხვა და, წევს უსასრულო ღამე – სადაც უფლის ცრემლი შემრა, ფამი ახლოვდება, ფამი შეძლებს სამყაროთა შეშლას. უკვე ნაპირი ჩანს იმ ცის – მზე რომ სისხლისფერად ღებავს, ინვის, გული ინვის მიწის, ღლებდა დედამინა... ღლებდა!..

ღამე ვარ, ღამე – ნისლეებში ვდგავარ, მინისგან შორს და, არც ცასთან ახლოს, თუ კი ისურვებ, იმდენად ვჩანვარ, ეს გარდასახვა რომ დაინახო. და ვიცვლი სხეულს, სივრცეს ვტოვებ და მზის საცხოვრებელს ვუჩენ ნაპრალებს, ეს იყო ჯვარცმა, ჯვარცმა პოეტის – ვუიოლებდი ცვენას ვარსკვლავებს. ცეცხლისფერ მზერას ანელებს ცრემლი, გრიგალად გშობე სულო ძლიერო, დედამინაზე სიცოცხლე ჩემი – იყო არც ისე სახარბიელო.

კითხვას ვსვამ – ჩემთვის პასუხი არ გაემეტა ზეცასა, გაუძლებს გული ამ ტკივილს – გაუძლებელ კვნესასა? არ ვითხოვ რჯულის დაგდებას, არ ვითხოვ ცნების შეცვლასა. რად სდუმხარ ცაო, რად სდუმხარ, პასუხს რატომ არ იძლევი, იქნებ ცოცხალი გგონივარ – რაკი ვსუნთქავ და ვინძრევი. ხვალ უცბად ჩამოვიშლები, მზედ ასვლას ვინყებ გვაშიდან, ხმაურით წყდება ლოდები ჩემს ჩამოზარულ ტანიდან,



დღეს რთული დროა, რთული დროა, საოხრად რთული, ათასი მძერი დაბობინობს შინა თუ გარეთ

რად ვერ მომფინე ნათელი – ვერ გამიტანე ღამიდან. მადლობა ბევრჯერ გითხარი როცა ვქუხდი და ვილევე, ნაქცეულს ძალა ჩამიდგი – ხელახლა გამაძლიერე, ქარს ამაღევნე ჯანლივით, ჭირხლად ამასხი იელებს. მომბეზრდა, როგორ არ გესმის სულ წინ და უკან დინება, ან ყოფნის ნება მომეცი – ან ფამი დასაძინებლად.

რადა ვარ, რადა ვეყუდივარ აქ ნასახლართან მგლოვარი, ვისი რა სული მოძრაობს სამზეოდ დანატოვარი, რას ტრიალებენ ნისლეები შავთა უფსკრულთა მსტოვარნი, ან ასე საბრალოებლად მარტო რადა ჰყეფს ყორანი. რად შეეხვია ღრუბლებში – მზე ასე თაღბი რად არი, ვისი რა ინვის სანთელი – ვისი რა ფიქრი დამდნარი, რა სძრავთ ხავსიან საფლავებს, ძვლების რად ისმის დგანდგარი, რად ძრწინა შევნი აჩრდილნი საუფლო გზაზე დამდგარნი. ან ასე რას ჰყეფს მდინარე – ვის რა ჯავრს იხვევს გულზედა, საით ჩქარობენ გველები, ვის მკურნალობენ ნყლულზედა, არსად ნიაგი არ იძვრის – ოფლი ამაშროს შუბლზედა. ვინა ვარ, ვინა ვეყუდივარ ამ ნასახლართან მდუმარი, ვინა ვარ, ვისი სული ვარ შავ შუალამეთ სტუმარი.

ფიქრი მძლევეს, ფიქრი ღამეთა, რაც სამზეოდ ვარ, სულ მტკიავა, ხან ვგოდებ უფლის კარებთან – ხან სანთლებს სანთლად ვუნთივარ. ლანდნი გადმოჩნდნენ მთვარიდან, მთებს დაენაბრნენ მძიმედა, ვარ ახლა მხოლოდ ქარის და ამ აჩრდილების იმედად. დავდივარ, ვბორგავ, ან ვდუმვარ ან თავს ვუნყრები – ვტირი რად, რა ტანჯვად მექეც მამულო, რა მოურჩენელ ტკივილად...

მრავალი ღამე განველე უმთვაროდ, მრავალი ღამის ვიყავ მგმობარი, მოვედ, შემინდო – უნდა, უფალო – ბევრი რამე მაქვს შესანდობარი. მრავალი ვცოდე – ცოდვის სიმძიმე, ჩემს ხნიერ ბეჭებს ჭარბად ატყვია, რამდენჯერ მწარედ ამოვიგმინე – როცა ვულოკდი მამულს ნატყვიარს. მტერსაც შეეუნდე შენი სწავლებით, სჯობდა, უფალო! – ჯავრი მეყარა... დგას ფამი ჩემი გარდაცვალების – რა გარგეთ ან შენ, ან ჩემს ქვეყანას. ნაკლებს უფალო, მაგრამ ვცრუობდი,

როცა სიმართლის გამხელა ჭირდა, ვსრულობდი შენი უსასრულობით, შენს მარადიულ შიშს ვგრძობდი ციდან. ვერ შევეშველე ნაშალთ ციხეთა, ვერ ვექეცე ლიბოდ დაბზარულ ლოდებს, დღეს გულს, უფალო, დარდი მიცვეთავს და სისხლისფერი ცრემლებით ვგოდებ. მიმიძიმს უფალო, ცოდვის გამხელა, მიმიძიმს უფალო შემოსვლა შენში, დაცემული ვარ უკვე ნახევრად და სული ჩემი ქარსა ჰგავს შეშლილს. შემეძლო, მაგრამ არა ვნაშლობდი, კეთროვანს თვალებს ვხუჭდი ლიბრიანს, მაგრამ მიწაზე ამპარტყანებით ერთი ნაბიჯი არ დამიდგია... ვინა ვარ – მამულს ცრემლი შევეშრო, ან რა ციხეთა კარნი ვამტვრიე, შენ კი უფალო – ამ მწირ სხეულში პოეტის სული როგორ დასტიე ...

გმადლობ, მიგზავნი ფერებს უთვალავს, ნათლით შემოსე ჩემი იერი, ლოცვა მასწავლე, ლოცვა, უფალო – რომ დავაპურო სული მშვიერი. დავნერო ლექსი თავისუფალი, ამასხი რითმა ტანზე ვით სურო, შენში დამტოვე, შენში უფალო – მასწავლე ლოცვა, რომ გიერთგულო. მე მეშინია, ჰო, მეშინია, ღამის უამურ ფიქრებს ვიცვილებ, დღეს ჩემი ლოცვა ისე მწირია, თავადვე მზარავს რწმენის სიმწირე. მოდი უფალო! – შენამდის მოსვლა მე მოკვდავს უფრო გამიჭირდება, ლოცვა მასწავლე, უფალო ლოცვა – ამ შეშლილ დროში ლოცვა მჭირდება...

აღსარება პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ, მე ფარ-ხმალი დავყარე – შიში ისე მოედო ჩემს სისხლსა და საფშინველს, არაფერი არ შეველის კეთრით სნეულ სამყაროს, მსოფლიო მძვინვარება როგორ ძლიერ მაშინებს. არაფერი არ დამრჩა ირგვლივ დაუკონცნავი, წინაპართა საფლავებს მუხლმოყრილი ვეახლე, თქვენო უწმინდესობავ, ალბათ, უკვე, დროც არის – შევეგუო წარმღვნელს და დამანგრეველ სიახლეს. ბევრი ღამე მუხლმოყრილს მიტირია ხატებთან, რომ როგორმე ჩემს ძველ სისხლს ეგრძნო შეება მცირედი, მაგრამ ჩემი ქვეყნისთვის ის დილა არ გათენდა – გაღვივება ვერ შევეძელ მინავლული იმედის. თქვენო უწმინდესობავ, დღეს ყველაფერს დრო ცეცხლს, უმძიმს ხნიერ პლანეტის ჩამოღვეთილ იოგებს, თქვენო უწმინდესობავ, როგორ შევეძლო მოთმენა – მექცეოდეს სამშობლო და

მე არა მტკიოდებს...
 ხან თუ გაბეზრებული ფიქრს
 ნისლივით ამოვშლი,
 იქ ვარ ჩამომჩვარული,
 სადაც უნდა ვხვიოდე,
 თქვენო უწმინდესობავ,
 ამ შემზარავ ქაოსში
 როგორ შესამჩნევია ჩემი
 ქვეყნის სიობლე.
 ჩემი ყოფნა სამზეო დროით
 განსაზღვრულია,
 კოშმარული ხილვები და
 ქარები მარწვენენ,
 აქ ჩემ ირგვლივ რაც ხდება,
 შევეგუე სრულიად,
 არაფრისგან არ ვცდილობ
 ახლა თავის დაღწევას.
 თქვენო უწმინდესობავ,
 დრო მკარანახობს რომ ვცდები,
 ვერ ავყარე ფიქრები საშიში და მზარავი,
 ყოველ მზის ამოსვლისას
 გამოვდივარ ლოცვებით
 და ცრემლივით სველია ჩემი
 ლურჯი კარავი.
 თქვენო უწმინდესობავ,
 აქ სტრიქონი ყოველი
 ჭმუნვით გაჯერებული
 გულის მონაწერია,
 ვდგავარ ქედდადრეკილი და



შენდობას მოველი,
 ამ ცოდვათა შენდობა ვიცი,
 რთულზე რთულია.

თქვენო უწმინდესობავ,
 დამიშვია აფრები,
 აირია ამინდი და ხშირია ნისლობა,

ის რაც ეჭვს გარეშეა,
 დროში ვერა ვთანხმდებით –
 საქართველოს გარეშე მე და მარადისობა.
 თქვენო უწმინდესობავ, ტკივილების
 შენდობას
 ამ ტკივილთა გარეშე როგორ
 გაგიბედავდი,
 ჩემი ჩამონისლული პოეზიის ერდოდან
 შენს ლოცვებში, და შენში,
 საქართველოს ცხედავდი.
 თქვენო უწმინდესობავ,
 ახლა ღონემიხილილი
 დასერილი ფიქრებით მინდორს
 ვგავარ ნაურმალს,
 მეშინია სიცოცხლის,
 არც შევბაა სიკვდილი –
 ვიდრე ჩემი მამული ასე ძლიერ მაურევებს.
 თქვენო უწმინდესობავ,
 თუ ფარ-ხმალი დავყარე,
 შიში ისე ხარბად ღრღნის ჩემს
 სხეულს და საფშვინველს,
 ახლაც შემფთებული ვაკვირდები
 ვარსკვლავებს,
 მსოფლიო მძვინვარება
 როგორ ძლიერ მაშინებს.

მასწავლებელი

მაია ლიპონიძე

მას მერე, რაც ქართველებსა და ოსებს შორის დაპირ-
 რიბირება დაიწყო, პაპა ვანო ერთ საზღვრისპირა სოფელ-
 ში გადასახლდა, გორის რაიონში. ადრე ცხინვალში ცხოვ-
 რობდა, იქ დაიბადა და გაიზარდა. უყვარდა იქაურობა.
 მამა ქართველი ჰყავდა, დედა – ოსი, გვარად კოდალავეი.
 ერთი დის ქმარი ქართველი ჰყავდა, მეორე – ოსი. თვითონ
 ოჯახი ვერ შექმნა და სხვის შვილებს იყო გადაყოლილი.
 ამბობდნენ, რუსეთში ერთ-ორი წყება ცოლ-შვილი ჰყავ-
 სო, მაგრამ ტყუილსა და მართალს ვინ გაარკვევდა?! სტუ-
 მართმომყვარე ოჯახში მუდამ სუფრა იყო გამოილი, რო-
 მელზეც თავს იწონებდა ქართული ხაჭაპურიცა და ოსურ-
 ის ხაბიზგინაც, ქართული ღვინოცა და ოსური ლუდიც.
 ნათესავიც ბევრი ჰყავდათ, ქართველიცა და ოსიც, სტუ-
 მის ნაკლებობას არ უჩიოდნენ. მამამისი სკოლის დირექ-
 ტორი გახლდათ, დამსახურებული პედაგოგი, იტორიკოსი,
 დედა ქართულის მასწავლებელი იყო, მათი ოჯახი, საბჭო-
 თა დროს, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ინტერნა-
 ციონალურ ქალაქში სითბო და სიყვარული ტრიალებდა,
 ოსიც ცხოვრობდა, ებრაელიც, რუსიც, უკრაინელიცა და
 ქართველიც. ახალგაზრდა ვანოც მშობლების კვალს გაჰ-
 ყვა და თბილისის ალ.პუშკინის სახელობის პედაგოგი-
 ური ინსტიტუტი დაამთავრა. უყვარდა თავისი პროფესია.
 არეულობა რომ დაიწყო, ქართველობას ვერ უღალატა,
 იძულებული გახდა დას გაჰყოლოდა თბილისში, შვილებ-
 ბითა და შვილიშვილებითურთ გაქცეულს, თვითონ დიდ
 ქალაქში ვერ გაჩერდა, მშობლიური ადგილებისაკენ მი-
 უწევდა გული, საზღვრისპირა სოფელში ჩასახლდა. თავი-
 სი კავშირების წყალობით მეორე მხარეს ადვილად გადა-
 დიოდა, სახლ-კარს ნახულობდა და უვლიდა, სხვა ქარ-
 თველებსაც ეხმარებოდა, მოსავალსაც გამოატანინებდა
 ხოლმე. ოსები ეუბნებოდნენ, – შე, კაცო, არავინ გერჩის,
 აქ იცხოვრეო, – მაგრამ სამუშაოს ვერ თმობდა, სკოლაში
 მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა, სხვა მასწავლე-
 ბელი არც ჰყავდათ, არც არავინ მოდიოდა საშემო ზონაში
 სამუშაოდ. ვანო პაპა ხშირად იტყობდა ხოლმე, – კიდევ კარ-
 გი, ჩემი მშობლები არ მოესწრნენ ამ ამბავსო. თვითონაც
 ძალიან განიცდიდა ქართველებისა და ოსების დაპირისპი-
 რებას, ვისთან ეომა?! ოსებიც მისიანები იყვნენ და ქარ-
 თველებიც. ქართულ სოფელში საერთო საცხოვრებელში
 გაამწყვდეს, ერთი ოთახი მისცეს, მანაც კმაყოფილი იყო,
 სამუშაოც ჰქონდა და თავშესაფარიც, თუმცა სოფელში
 ბოლომდე არ ენდობოდნენ, ოსების ჯაშუშაო, ჩუმ-ჩუმად
 ლაპარაკობდნენ, პირში კი არავინ არაფერს ეუბნებოდა.



ნახ. ავტორისა

იცის,“ – მათ შერჩერებას ცდილობდა კაცი, მაგრამ კაცი-
 ჭამიებს ჰგავდნენ დამსჯელები. იცნო, ვინც იყვნენ, ორი
 ძმანი. მათ შესახებ ბევრი რამ სმენოდა კიდეც, მაგრამ
 მათმა საქციელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.
 იცოდა რა დაუბრუნებელი და კაცისმკვლელები იყვნენ,
 ასეთები ყველა ერთი გამოერევა ხოლმე და სამარცხვინო
 ლაქასავით დაედება, რომლის ჩამორეცხვაც მერე ადვილი
 არ არის. – მე დავავალე კაკლების მოტანა სკოლაში, – ავ-
 რძელებდა მოხუცი, – მათემატიკის მასწავლებელი ვარ,
 რა ვიცი, აქეთ მხარეს თუ გადავვიდოდა, – სიტუაციის
 განმუხტვას ცდილობდა, – არაფერი ჭრიდა, ერთმა სახეში
 მოარტყა მუშტი ბიჭს და ცხვირი გაუტყა, სისხლი დაედი-
 ნა ბავშვს მკრთალ, გამხდარ სახეზე. რამდენიმე წუთში
 ისედაც უსუფთაო ტანსაცმელი სისხლში ამოვსვარა, ამას
 კი ვეღარ გაუძლო მოხუცმა და ბრაზმორეული ყავარჯნით
 ხელში მაცემარებისკენ გაექანა. მოუტრიალდნენ გამხეცე-
 ბულები, მასაც მოხვდა ერთი-ორი, თუმცა მოხუცი ხმას არ
 იღებდა, ისე უდრტივებლად იტანდა ყველაფერს, იმედი
 ჰქონდა, ცემის ჟინი გადაუვლიდათ და ბიჭს თავს დაანე-
 ბებდნენ, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. ბავშვს
 ხელბუზე თოკი მოაბეს და ძალივით წაათრეს იქვე ახ-
 ლოს მდგომი სახლისაკენ. ძირს დაგდებულ მოხუცს თავი
 დაანებეს. ვანო პაპა ადგა, გამოუდგა ნასულს, ხევე-
 ნებოდა, ბავშვი გაუმეოთ, დედამისი ინერვიულებს, მაგის
 მეტი არავინ ჰყავსო. არავინ უსმენდა, თავჩაქინდრულ
 ბიჭსაც ხმა ჩანყვეტოდა ყვირილისგან. პატარა დამწავემ
 ახლავდა იცნო თავისი დამცველი, დასიებული თვალებიდან
 ძლივს იყურებოდა. გაუკვირდა, არ ეგონა, თუ მათემა-
 ტიკის მასწავლებელი დაიცავდა ქურდსა და აბეზრებს და

მისი გულისთვის საშიშროებაში ჩაიდებდა თავს, გაკვე-
 თილებზეც არ უსმენდა, ხშირად აცდენდა, ერთხელ არ
 გასულა დაფასთან. მოხუცი უკან მიჰყვებოდა წინ მიმავ-
 ლებს. ძმები უკან იხედებოდნენ, დაცინვით უყურებდნენ
 მოხუცს, რომელიც ბიჭის გათავისუფლებას ითხოვდა.
 რომ ვერაფერს გახდა, სთხოვა, ნება დაერთოთ, ბიჭს თან
 ხლებოდა. დათანხმდნენ. ეზოში შესულებს, მეზობლები
 შემოეხვივნენ, მათაც გაეგოთ ყვირილის და ჩხუბის ხმა
 და მოსულიყვნენ, ზოგი სერიის საყურებლად, ზოგიც –
 საგულშემატკივროდ, ზოგიც – ღმერთმა იცის, რისთვის.
 არავინ მოუწონა ძმებს საქციელი, მაგრამ უკან ვერ და-
 ახვივნენ. თურმე, აპირებდნენ ქურდისთვის საბოლოოდ
 ესწავლებინათ ჭკუა, მაგრამ, რა გზით, ჯერ არ ჰქონდათ
 გადაწყვეტილი. ვანო პაპამ მოსულეებში ერთი-ორი ნაც-
 ნობი აღმოაჩინა, დახმარება სთხოვა, დაჰპირდნენ, ძმებს
 დავათრობთ და მერე ბიჭს გამოვაპარებთ და ნაიყვანეო,
 ასევე ბიჭის დედასაც შეატყობინებდნენ, რომ ბავშვი
 ცოცხალი იყო და სალ-სალამათი, ოსურ სოფელში დარ-
 ჩა ვანო მასწავლებელთან ერთად და მეორე დღეს სახლ-
 ში დაბრუნდებო. მოხუცი ცოტა დანყნარდა, ნაცნობთან
 შეაფარა თავი. საწოლზე წამოწვა, ის იყო მიიძინა, გააღ-
 ეძიეს, ბავშვი თავისუფალია და ნაიყვანეო, სიხარულის
 ელდა ეცა, გული ეტკინა, მარცხენა მხარეს ხელი მოიჭი-
 რა, მაგრამ ხვდებოდა რომ ამის დრო არ იყო, ბავშვს ხელი
 მოჰკიდა და სიბნელეში გაუჩინარდა. მოხუცმა ყველა
 კუთხე-კუნჭული ზეპირად იცოდა, ამიტომ იოლად მიიკ-
 ვლევდა გზას. ხანდახან გული შეახსენებდა ხოლმე თავს და
 ჩერდებოდა, ტკივილი მატულობდა, მოხუცი ჩქარობდა,
 თენდებოდა, არავინ დაგვენიოსო, მერე უფრო გართულ-
 დებოდა ბავშვის გამოხსნა. მიმავალთაგან არცერთი არ
 იღებდა ხმას, ისე უსიტყვეოდ მიუყვებოდნენ გზას მოსწავ-
 ლე და მასწავლებელი. ბიჭი ახლა ძალიან ნანობდა, რომ
 კარგად არ სწავლობდა მათემატიკას, აბრაზებდა დედას,
 მერე ღმერთს პირობას აძლევდა, რომ თუ სამშვიდობოს
 გავიდოდნენ, კარგი მოსწავლე გახდებოდა, დედას გაახა-
 რებდა, ვანო მასწავლებელსაც... საზღვარს მიუახლოვ-
 ნენ, ქართული სოფელიც გამოჩნდა, – გაოქეცი, მე აქ დავ-
 რჩები, – თქვა მოხუცმა და მინაზე დაჯდა, ტკივილისგან
 ბალახები მობღუჯა, მეორე ხელი გულზე მიიღო, სახე
 მოეღრიცა. – წადი, წადი! – ეძახდა ბიჭს, რომელიც ჩასჭი-
 დებოდა მოხუცს და მის წამოყენებს ცდილობდა.
 – გაიქეცი, თუ დაგიჭირებს, მოგკლავენ! – ეუბნებო-
 და კაცი, – მათ დანდობა არ იცინა, ისინი ადამიანები არ
 არიან, ხომ ნახე, – ძლივს დაუღწევდა, – წადი და პი-
 რობა მომეცი, რომ დიდი ადამიანი გახდები, – დაამთავრა
 მოხუცმა, ბიჭმა თავი დაუქნია, მიხვდა, რომ ავადმყოფის
 დახმარებას მარტო ვერ შეძლებდა, ხელი გაუშვა და ქარ-
 თული სოფლისკენ გაიქცა. მოხუცი ხვდებოდა, რომ ბიჭი
 აუცილებლად მოიხედავდა უკან, არ უნდოდა წაქცეული
 დაეხახა, სამუდამოდ დაამახსოვრებოდა, უკანასკნელი
 ძალები მოიკრიბა... როცა ბიჭმა მოიხედა, გაუნძრევლად
 იჯდა, თავი გვერდზე დაეხარა და მას შესცქეროდა, თით-
 ქოს მის ყველა მოძრაობის იმასოვრებდა, თვალი თვალ-
 ში გაუყარეს ერთმანეთს მასწავლებელმა და მოსწავლემ,
 თითქოს ერთმანეთს დაემშვიდობნენ.
 მეორე დღეს მთელ სოფელს მოედო ეს ამბავი, ცოტა
 ხანი ეძებეს მოხუცი. რომ ვერაფერი გაიგეს, მივიწყეს,
 ალბათ, ოსებთან დარჩაო... იმით, რომ იმედი არ გაჰქ-
 რობოდათ, ცოცხალიაო. სკოლაში ახალი მათემატიკის
 მასწავლებელი მოვიდა. ბიჭს კი არასოდეს დავიწყებია
 თავისი მასწავლებელი, ის დღეს მართლაც დიდი კაცია და
 სამშობლოს ემსახურება.

პროზა

აბრეშუმის გზის სცუმორები

ქანაპირ ჯაყელი

„– მყარ ჩვევად მაქვს, ყოველ ქალაქს სახეც დავეუთავლიერო და გემოც გავუსინჯო, ამ მხრივ თბილისის აზიის თეთრი მარგალიტია, რომელიც თავისი ათინათებით მწახველსაც ათრობს და მცხოვრებსაც ართობს, არასოდეს მინახავს ასე უზრუნველი ხალხი, მოქალაქენი მომომიმარი სახით ხვდებიან ერთურთს. ლამაზ ქალაქსა ჰგავს თბილისი და მას, ისევე როგორც ლამაზმანს, მცირედი გარჯით შეუძლია კარგად იცხოვროს. შეხედე აქაურებს, თუნდაც შედედებული რძის დამტარებელი, გინახავთ ასე ამყაყად მორაული ვინმე კაიროში ან მანანდარში. ჩვენს ხელოსანს დღედაღამ ხვითიტი ჩამოდის ოფლი შრომისაგან, ამით კი სულ ქვიფზე და დროსტარებზე უჭირავთ თვალი და მინც ფული საკმარისი აქვთ. უდავოდ ღვთის განგებამ შექმნა ეს ქალაქი სინათლისა და სიყვარულის ურთიერთობით“. – უბნებოდა იბნ ჰაუკალი თავის ძმისწულს, რომელიც ბიძის გვერდით მიუყვებოდა მტკვრის სანაპიროს.

– ეს ქალაქი არაბთა ჩრდილო დასავლეთის იყო ერთ დროს, ასე წერია ჩემს წიგნებში. ახლაც ვატყობ არაბთა ხელს ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს და ზოგიერთ სახლს შეფენილს მთის ფერდობზე მრგვალი მოედნის პირდაპირ. აქ მე გხვდავ ჩვენს გავლენას და სხვა არაფერს“, – კუმტად გამოთქვამდა თავის აზრს ალ აჰმედი.

– ოი, ჩემო ძმისწულო, არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ ოქნი წიგნებით შეაფასო, ამ ქალაქში თითქმის უცდათაჯერ ყვოფილვარ და ვიცი, რასაც ვამბობ.“

– რას ამბობ, ზიძაჩემო, როგორ დაევიჯერო, რომ ქალაქი, ამ უბრალო და უნივერსული ხალხის ხელში ჩაგარდნილი, არ გვთხოვს ჩვენ – ჯო მარაბტო, მოდი, დაამყარეთ თქვენი წიგნიერი სჯული და კანონები და მოიპოვეთ ის, რაც ერთხელ უკვე გეკუთვნოდათ – ქალაქი საქარავნო გზაზე. ეს ქალაქი ხომ ასე მნიშვნელოვანია დღეს აზიის კარიდან გამოსული მხედრობისა თუ ქარავანისათვის“, – თვალზე უბრწყინავდა ალ აჰმედს.

– ჩვენ ვიცით რაღაც, ძმისწულო, ის წიგნი მე არ წამიკითხავს, რითაც შენ დღედაღამ გაბრუნდებიან მედინის სასწრაფოებში. მე ყველაფერი გზებით მაქვს ნასწავლი, გზები კი თვად წიგნებია, მასზე ქარავნები წერენ და შემდეგ გამოცდილი ხალხი კითხულობს ამ წიგნებს. შენ პირველი ხარ მგზავრობაში, არცთუ ურიგოდ გიტარავს თავი, მაგრამ ჯერ ვერ კითხულობს საქარავნო გზის სიბრძნეს. ერთ ამბავს მოგიყვები, ამ მხარეს რომ წარმოაჩენს წარჩინებულად და ღირსეულად.

ერთხელ, შენი მამის, იაკუბ იბნ აჰმედის სიცოცხლის ფაშს, ჩვენი ქარავანი ბარდასთან შეჩერდა. ჩამორჩენილ აქლემებსა და მათ მცველთ ველოდებოდით. ასე უქმად ვიდექით ერთ დღესა და ერთ ღამეს. გამთენიისას ზეცა თქემად დაითქა დედამინაზე, მუჭის სიმსხო ღვარცოფი და სეტყვა დაატყდა თავს ჩვენს ბანაკს, დაუბერა აღმოსავლეთის ქარმა და გალაენის გარეთ ყოფს სახლებს სახურავების აგ-ლეჯვა დაუსწო. ჩვენი კარავი ბუშბულივით აკოროდა ქარმა, გადატყვდა კარვის ერდო და ნატყვი შუბივით ჩაესო ჩემს მსახურს, ყოფილ ოთალოს, აქლემები უდაბნოს ქარაშოტებს შეჩვეულ ქარს მტკიცედ რომ უძლებდნენ, ხომუკაქალამ გადარია და გამოექცია. სასონარკვეთილი ხან აქლემებს მივსდევდი დასაჭერად და, ხანაც, მსახურებს ვშველოდი ბარგის შეგროვებაში. ქარი არ ცხრებოდა, წვიმა იმგვარად გაძლიერდა, რომ ბარდავს მცხოვრებნი ციხე-კოშკს მიანყდნენ და ქალაქის თავს ციხეში შეშვება მოსთხოვეს. წვიმის წყლით მოდიებული მდინარე ბარდავის ჯებირს და სარწყავ არხს გრგვინვით ეჯახებოდა. მცირე ზომის არხი ვერ უძლებდა გადარეული ბუნების შემოტევას და დატბორვით ეშურებოდა არა მარტო ბოსტნებს, არამედ ქალაქსა და მის შემოგარენს.

უმწეოა კაცი ბუნებასთან შერკინებისას, სტიქიონის შემოტევა წამალთა კაცთა თავნებობის განსაკურნავად. შეგუარებლი თუ როგორ მანადგურებდა ქარიშხალი და წასალებად მოვარდნილი მდინარე იმ ავლადიდებას, რაც ცოდვითა და ჯაფით მოქნდა ნაშრონი და თავს ვერაფერს ვშველოდი. ამ დროს დაჭრილმა ოთალომ შემომყვირა – ციხეში შედი, ბატონო, და ამ საქონელს მე მოვუვლო. ავიღე ხელში ფულით სახესე ზარდახს და ციხე კოშკისაკენ წავიღე არა იმიტომ რომ შემინოდა, არამედ იმიტომ, რომ ქარავანის სამობრად ასე საჭირო ნაღდი ფული გადამერჩინა და შემდეგ ჩემ მხლებლებთან ერთად შინ დავბრუნებულიყავი. ძლივს მივიკვლევი გზას მოლაბულ სრიალად ფერდობზე და როგორც იქნა ციხე-კოშკის კა-

რავთან ავლმონდი. ჰეი, ციხისთავო, შემომიშვი, გთხოვთ, უცხოელი კაცი ვარ, ქარავანის თავი, – შევეხებე მე და კარიბჭეს ხელი დავეკარ. წვიმა ძლიერდებოდა და არემარე დაბნულდა ამ დროს. მთის ძირი, სადაც ჩემი ბანაკი და მსახური დავეტოვე, თითქმის აღარ ჩანდა. სასონარკვეთილი გავყურებდი გადარეულ გარემოს, გონებაში ზარალს ვითვლიდი და ველოდებოდი, როდის გამიბედნენ კარს ქალაქელი. ერთ-ერთი სარკმელი რომ გაიღო და წვერიანი კაცის მსუხავი თვალები დაგინახე, უნებურად ზარდახმას ქულაბა ჩამოვბურე და სარკმლისაკენ ავიხედე. წვერიანი ალარ მოსჩანდა. სამაგიეროდ, რამდენიმე ხანში, კარიბჭე გაიღო და ოთხი შეიარაღებული კაცი აქეთ-იქით ამომიდა. ორმა მათგანმა ხელები გამიკავა, ხოლო ორმა, ზარდახმა გამომგლიჯა წინაღობა. აღარ ვიცოდი, მეყვირა თუ მეტირა, ნინაღმდევობის განვეა აღარ შემეძლო, დაეიჩოქე ქალაქის კარიბჭესთან და სველ მიწაში ჩავყავი თავი. ასე ვეგდე ერთხანს და მერე, როცა თქემი შეწყდა, ფეხზე წამოვდექი და ქალაქს ავხედე, მთელი მრისხანება ჩავაქსოვი ყვირილში და როცა ვიყვირე, კატის ენავილს წაგავადა იგი. შემრცხვა კიდეც საკუთარი უსუსურობის და თავი ჩავქინდრე. გახსოვდეს კარგად, ყველაზე მამაცი კაციც კი შეიძლება უსუსური აღმოჩნდეს უცარი უბედობის წინაშე. მეც მდიდარი და სახელოვანი ახალგაზრდა, უცრად ყარობად გადავიქცევი. აქლემები აღარ მყვანდნენ, მსახური ტალახიდან და ტბორებიდან ამოსულ მათხოვართ მივამსგავსე. მდინარის თავებობას გაეტაცა თითქმის ყველა ყუთი და ზარდახმა, რაც მეზავდა. სველ მიწაზე დამჯდარი ვუყურებდი ზეცას და ჩუმად ვტიროდი. ვტიროდი, როგორც უბირი და ღატატი, დამარცხებული და უიმედო. ლამდებოდა. მხოლოდ დილას უნდა მომეძებნა ჩემი აქლემები და ეს აზრი აფორიაქებდა ჩემს სულსა და გონებას.

ღამე თეთრად გავათენე, ვლოცულობდი. ლოცვა იმდენ მიმატებდა და ღმერთის ხსენება – ძალას. გავისხენე თითქმის ყველა ნაცნობი ამბავი ქარავანთა შესახებ და მივხედი, ჩვენი გზა ფათერაკებით უნდა ყოფილიყო სახესე, ხოლო ჩვენი წვერი – გამოცდილებით. რატომ აქვს ქარავანის თავს მშვიდი შერვა? იმიტომ რომ თვალუბრი მისი წვერიანი და ხედავენ მთებსა და ზღვებს შორის გადაჭიმულ იმ სიბრძნეს – მოგებას რომ ეძახიან. მივხედი ახლა, ამ აუბედობის ფაშს უნდა ყვოფილიყავი მედგრად და გამომხნევებნა მსახური ირგვლივ. სულ მალე ფეხზე დავაყენე ჩემი დაკონკლი რაზმი და დაკარგული აქლემების მოსაძებნად გავეშურე. მართალი ვითხარა ვერძინობდი, რომ ვილაპებოდი. დალუპვის პირას იდგა მთელი ჩემი საქმე, ღირსება და მომავალი. ვალუმულები და დაჩაგრული, ღვთის ნებით მივიწვედი ახალი დღის შესახებდრად.

არც კი ვიცი, რამდენი ვიარე უსიტყვოდ და უხმოდ. ნისლი, რომელიც ახლომდებარე ბლიკებს მოსავდა, წელ-წელა მარაგზისკენ მოიწვედა. ვერ ვიტყვი, ვიცოდი კი საეთ მიმყავდა ჩემი ხალხი? არა, არ ვიცოდი. ასეთ უიმინხოვ და უგონოდ ვინ იცის რამდენ ხელმძღვანელს უტარებია თავისი დასტა. მეც მიმყავდა ყიფილი და არაბი, ირანელი და ერთი უტომო და უმეცარი კაცი – ფეროზი. ყველანი უხალისად მომყვებოდნენ, ყიფილი ოთალო მთისკენ იყურებოდა და ზარდახი, არაბი მიწას ჩასჩერებოდა, ხოლო ირანელი – ცას. მარტო ერთი ფეროზი მომდევდა და მისი სუნთქვის ხმა თუ იყვობდა ყურადღებას ამ დროს.

– ფეროზ, – მოვეუბრალე მას ღმირით, – საით მივდივართ, არც კი ვიცი. თუ ასე გავგრძობდით, ან ვილაცა დავგვოცავს გზაში, ანაც – თქვენ, ჩემი ხელქვეითი მომიხარავთ სიცოცხლეს, უთავბოლო წინამძღოლს.

– დიდო ბატონო, გზაში მრავალი რამ გადამხდენია. ამ საქმეს ვიცნობ, ხეტილში გავზრდილვარ და გამოვბრძმდილვარ. არც კი ვიცი, საით მივდივართ და როდის შემოგვხვდება თუნდაც ერთი წესის, ადათისა და სჯულის დამცველი დასახლება, სადაც ბატონი ისევ ბატონად გადაიქცევა, ხოლო ყმა – ყმად. მაგრამ, გთხოვთ ერთს, იარეთ იმედიანი სახით და მე ნაკლებად მელაპარაკეთ, თორემ ხვალ დილას, ან უფრო სწრაფად ამქვეყნად აღარ მიხილავთ, – ქვით ან საბლით გამისტუმრებენ აქერონს, – თქვა ფეროზმა, თეთრი ეშვები გამოაჩინა და განზრახ ჩამოძრა. ამის შემდეგ იგი სულ უკან-უკან მოჩანალებდა და არაბ მსახურს ერთორს თუ ეტყოდა რამეს.

მეინა ფეროზის ნათქვამი, მრავალი საქარავნო ისტორია გავისხენე გონებაში და მსახურთა მიერ მოკლული ქარავანის თავიც არა ერთი მოვიგონე. ასეა ცხოვრება კაცთა მოდგმას პირადი მოგების წესი ამოძრავებს. ყველა-

ზე უფრო ნაკლები გამორჩენის მქონე მეაქლემე მანამ მოდევს, სანამ უნარიანი კაცი გქვია და ხარ კიდეც. დამარცხებიდან გამარჯვებამდე თავის მიტანაა კაცის ხელოვნება და ნიჭი.

ორი დღე და ღამე მიგჩანალებდით ამის შემდგომ, ორჯერ მაგარმა წვიმამ გავკათახსირა და ცეცხლიც კი ვერ დავანთეთ, ისე მივედი საღამოს ერთ ნამოსახლართან და ჩამონგრეულ ციხე-დარბაზთან. მკვდარივით ჩამეძინა ამ დროს და ბაღდადს ამოვყავი თავი სიზმარში, წითელხალათიანი კაცი ვიხილე ჩემგან ზურგით მჯდომი. დავაკვირდი და მამარეში შევიცარი – სიბრძნის კაცი. „იბნ ჰაუკალი, აქ არ გაჩერდე, ახლავე იმოქმედე, თბილისისაკენ წაი, არ გაჩერდე, გესმის?“ – ამბობდა მამა და არც მიყურებდა, მხოლოდ ყოველ სიტყვას მაგიდაზე დარტყმულ მუშტს აყოლებდა. აი ასე, ბაგ, ბაგ.

გამომეღვიძა აფორიაქებულს, მიმოვიხედე და ჩემს გარშემო მხლებლები ვეღარ ვიხილე, უმალ ავი გავიფიქრე და ფეხზე კი არ წამოვდექი, არამედ გავხოხდი ბნელში. ასე ვიხილე რამდენიმე ხანს, საგალი გზა ვვერდით მივატოვე და მცირე გორაკი გადავვიარე. შემდეგ სულ სიბრძლით ვიარე, შიშმა შეიპყრა ჩემი გული და გონება. ყოველი ხის ტოტი ხმლით შემართული თაფდასხმელი მეგონა მამინ და მივბობდი, მივბობდი ფრთავაშლილ სირაქლემსავით და განრისხებულ მარტორქასავით.

არაფერი ვიცი, რა მოხდა ჩემს ბანაკში, ასე ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ სიკვდილი იქვე ახლოს დარწმინდა იმ ღამეს და ეს ყოველივე მამამ შეიტყო, ჩემი უტყურობით და გამოუცდელობით აღმფრთვებულმა.

გამთენიისას უკაცრიელ ტბას ნავანყი, ცხოველივით დავენაწე მის წყალს და ამ დროს საკუთარ ანარეკლს შევავლე თვალი, არეული სახე, მღვრიე უძილარი თვალები და, რაც მთავარია, შიში შემომყურებდა ტბის კამკამა წყლიდან. შემეცოდა ჩემი თავი და რაც მთავარია, სამშობლოდან ასე შორს გადმოგდებულმა, იმედთან გამოთხოვება წარმოვიდგინე. იქვე, ტბის პირას, დავნეკი სიკვდილის მოლოდინში და შენუხუბული ველოდი ჩემს ხვედრს. რამდენიმე ხანს ასე ვეგდე და ველოდი რაღაც უხილავსა და საშიშს. ცოტა ხნის შემდგომ ჩემი თავის დაცინვა დაინწყე გულში. ამან გამამხნევა, რაც უფრო დავცივდი ჩემს თავს, მით უფრო მძულდა ჩემი შიდი და საქციელი. სულ მალე იქვე, ნაპირთან, დადებულ სიბ ქვას და ფართო ხელი და შევსახე ომხიანად: „ჰეი, გამოდი, შემებრძოდე, თავი უნდა ჩავიმტკერიოთქო“. – რა თქმა უნდა, არავინ გამომეპასუხა.

აი, აქედან იწყება ჩემი ხელახალი აღორძინება. მრისხანებით აღტკინებული მივიწვედი წინ. ვახტვობდი ლოდებსა და ქარაფებს და უცნობ ბლიკებს მივთვლივდი. ხელში ქვა მეყვარა და სულში უდარდელობა მედო თავებდობასთან ნახიარები. ვადავლიარე მთა, ტყე და ფართო ველზე გავვიდი, აქლემი რომ გადააწყვედა მოსიწინე უსხენებელს, ვერ მოულოდნელად თავზე ნავადეკი მინდორზე გაწოლი ფართოდამზინა და თეთრი ყაბადახიან მომარს, რომელიც იმდენად დაიბნა ჩემი დანახვისას, რომ ფეხზე წამოჭრა კი დაავიანა. ამასობაში მე ვეძებე მას მათხეში. დაშნა ნავართვი და მისი ქარქეშიდან ამოვებოდა დავაპირე, ამ დროს რამდენიმე მუზარადიანი კაცი წამოიჭრა ბალახებიდან, ყველამ რაღაც შეპყვირა, ხმლები გაამიშველა და მომვარდა.

მე მრისხანედ დავტრიალებდი ამ მოყმეთა მიერ გარემორტყმული. ერთი იმნასმე ვედეგ ჩერი მაჯაში და მისმა ღმირმა კიდეც უფრო გამაცოფა. ჩემს მიერ დაშნარათმული კაცი შუბუმართული მოქროდა ჩემსკენ. ვიგრძენე მისთვის დიდი შეურაცხყოფა იყო იარაღის ნართმევა და ახლა ჩემი სისხლში აპირებდა სირცხვილის განელებას. დაშნარათმულმა სწრაფად მომიქნია შუბი და ბარძაყში დამკოდა. არაბულად ვიყვირე – ყარიბად სიცოცხლეს სიკვდილი მრჩევინა-მეუქი და დაშნარათმული მიუბუბტი ჩემს დამჭრელს.

შუბოსანი ჩემს ენაზე მეუბნება – „ვინ ხარ, თქვი, რად დაგვესხი თავს?“ – და ტანსაცმელზე მაკვირებდა.

არაბულის ვაგონებისას თვალთავან ცრემლი წამომცვივდა, დაშნა შორს მოვისროლე, ჩავიშუხლე და ალაჰს შევავედრე თავი. შუბოსანი შედგა და ჩემს ზურგს უკან მდგარო მჭახე ბგერებით რაღაც უბრაზანა. მე დაბნული ვიდეკი და ვგრძობდი, ხმალგამიმედეგებლები მიმზერდნენ უცნობნი და ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ.

– რა გქვია და საიდან მოდიხარ?“ – მკითხა ჩემს მიერ დაშნარათმულმა.

რა მნიშვნელობა აქვს, საიდან ვარ, თუ მგზავრებს თავს ესხმით, მაშინ მეც მგზავრი ვარ“, – ვუბასუხე დაეჭვებულმა მათი რიცხოვნობით.

ჩვენ მგზავრებს არ ვერჩით, შენ ჩვენს უფროსს დაესხი თავს და ღირსი ხარ, რომ აქვე მოგკლათ, მაგრამ ჩვენ არ ვკლავთ უიარაღოებს, თქვენგან განსხვავებით. ამიტომაც ცოცხალი ხარ, – მიპასუხა დაშნარათმულმა.

ამასობაში ჩემს დამცველებს რამდენიმე ათეული მხედარი შემოემატათ. ახლა კი მართლაც არ ჰგავდნენ ისინი შარავანის ყაჩაღებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ტყავის დიდ დოლს ჰკრეს ხის ჩუგლუვით, რაზმი ოთხრიგად დაეწყო და სამი თეთრცხენოსანი გამოჩნდა, რომელთა შორის ერთი შავი ჯაჭვით შემოსილი ვეება რაინდი, მართლაც რომ დათვს ნაგავადა. მის ძალუმ სხეულს წითელი ტოვა ემოსა, ისეთი, როგორც ბიზანტიელ პატრიციებს აცეცია, ხელში მსუბუქი მშვილდი ეყვრა და ყველას მამაშვილურად ეყვრობოდა. ასევე ყველა მონივებით ეყვრობოდა მშვილდიან გოლიათს, მე ვიგრძენი, რომ მის გამოხედვაში ვეფხვი და მარტორქა იმალებოდა. რაზემული დაეწყო, ცხენოსნებმა დაიქვეითეს და ერთ ფაშს ჩემსკენ შემოტრიალდნენ. ვერ ვიგებდი მათ უცნაურ ენას, რომელიც მე ფრინველთა ხმებს მივამსგავსე თავდაპირველად, მაგრამ ვხვდებოდი, რომ მშვილდის ჩემზე ეკითხებოდა მის წინ დაჩოქილ რაზმებს და ჩემსკენაც იყურებოდა. ამ დროს მეც მიმიყვანეს ძალით მასთან და მინაზე დამაგდეს.

ვის მოკვლას აპირებდი, გვითხარი, ისმაილიტო, – საკმაოდ რბილი არაბული სიტყვებით იკითხა მშვილდიანმა ბელადმა.

არავის მოკვლას არ ვლამობდი, ვუთხარი მე და შემდგომ მთელი ჩემი ამბავი მოვუყვიე სვენებ-სვენებით. ბელადი შედგა, ცოტა ხანს მიყურა გამჭოლი მზერით, მისი ნაბლისფერი თვალები და არწივისებური ცხვირი ჩემი აზრების ნაკითხვას ლამობდა.

ყოველთვის ასე ლამაზაკობთ, იგონებთ რასმეს, ნუთუ გვინია, რომ მე თუნდაც დავემალეობოდი შენს ან შენი ხალიფის თუ სარდლის გამოწვევას? – მკითხა მან.

– სარდალო, – მივუხე, მე არასოდეს მითქვამს ტყუილი, რადგანაც მართლმორწმუნე ვარ, თუ გნებავთ შეამონმეთ ჩემი სიტყვები, გნებავთ დამსაჯეთ.

– როგორ შეიძლება შევამონმოთ ის, რაც მოგვიყვიე? – იკითხა მშვილდიანმა ბელადმა.

ზარდაში ვაგზავნეთ ვინმე და ჰკითხეთ ქალაქის მცხოვრებთ, ჩემი ქარავანის დალუპვის ამბავი. არა მგონია, ხალხს არ ახსოვდეს თუ რა მოხდა გუმწინნი, ხოლო თუ არავინ გყავთ გასაგზავნი, მაშინ თვით უფალს იყოს ჩემი თავედები, – ვთქვი მე მძაფრად.

– ნუ გეშინია, ვაჭარ! – მომმართა ბელადმა და სიტყვა ვაჭარი რაღაცნაირად, ზიზლით წარმოთქვა, მალე ჩვენ ყველანი ბარდაბუმი ვიქნებით და ბარდავის გამგებელს თავად უთხარი შენი სათქმელი. მე განგსჯით ორთავეს და ვინც მტყუანი გამოდგება, თავიც იმან დაკარგოს, – თქვა ბელადმა სიცილით და ჩემს მცველებს ხელი აუქნა.

– ჩვენთან მოდიხარ, მაგრამ იცოდე, თუ გვატყუებ, ჩემთან გექნება საქმე, – მითხრა დაშნარათმულმა.

მიმოვიხედე, სულ უფრო და უფრო მეტი ცხენოსანი მოინვედა ჩვენს გარშემო. შორს დროშები გამოჩნდნენ და რაზმებად დაწყობილი სადღაც გაემართნენ. ჩემმა მცველებმა ცხენზე შემაჯინეს და ხელებიც კი არ შეუკრავთ ჩემთვის, ისე გამაჭყნეს.

საოცარი ხალხია, ნეტავ ვისთან მოვხვდით? – ვფიქრობდი მე და ცხენს მივაჭყნებდი. დაბლა გზაზე მშვილდოსნები და შუბოსნები მოემართებოდნენ ჩქარი ნაბიჯით, მონა სპებს დამძლილი სააღყო მანქანები მოჰქონდათ, ღერძებს ჯორები მიაგორებდნენ. უცრად ჩემმა მცველებმა ცხენიდან ჩამომართიეს და მჭახე სიტყვებით მინაზე განმართეს.

თვითონდა დაიჩოქეს. როდესაც თავი ავნიე და ზეით ავიხდე, მინაზე დამხობილი ლაშქარი დავინახე. ჩემი თვალები ეძებდნენ ვილაც ხელმწიფეს ან საათა განთქმულ სარდალს, მაგრამ მათ ნაცვლად ვეება ტყავის შალთისაში შეხვეული ჯვარი დავინახე. აჭურჯების ხელში ვყოფილვარ ჩავერდნილი, – ვაფიქრე უმალ და თვალი გავაყოლე საომრად მიმავალ ქრისტიანთა სიმბოლოს, რომელსაც წვეროსანთა რაზმი მისასვენებდა.“

შემდეგ რაც მოხდა, ზიძაჩემო, მივხედი კარგად, რადგანაც ვიცი, რომ იმჟამიდან მოყოლებული ქარავანი უეჭველად თბილისზე დაგვყავს, – თქვა გალიმებულმა ალ აჰმედმა და იბნ ჰაუკალს შეხედა, რომელიც მოლვენთილი სანთლის ფორმის სახით მონუსხულივით გაცსქეროდა სიონის მონასტრის დედო-ჯვარს.

საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – 1992 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სამი დადგენილება (18 იანვრის, 7 თებერვლის და 10 მარტის). სამივე დადგენილება, შეიძლება ითქვას, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ ისტორიული და რევოლუციური განაცხადია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილზე გამოცხადდა კერძო საკუთრება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გაიყიდა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი გადაეცა რეფორმის ფონდს და კომლექსს (ოჯახებს) დაურეგისტრირებლად, კერძო საკუთრებად, ხოლო მინის მეორე ნაწილი სახელმწიფომ თავად დაიტოვა საკუთრებაში და მისი იჯარით გაცემა დაიწყო.

მიწის რეფორმის პერიოდში საქართველოს კომლექსი (ოჯახები) დაიყო მიწის მიმღებთა 3 კატეგორიად და განისაზღვრა მიწის ზღვრული მაქსიმალური ნორმა. მიწები საკუთრებაში გადაეცათ ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები და სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მათთვის მიწის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 1 ჰექტარამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო – 1,25 ჰექტარამდე, მთის რეგიონებში კი – 5 ჰექტარამდე.

მეორე კატეგორიას მიაკუთვნეს სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები. მათ განესაზღვრათ გასაცემი მიწის ფართობი ბარის და ზეგნის რაიონებში – 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონში – 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები – 0,75 ჰექტარამდე).

მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს ქალაქად და დაბად მცხოვრებნი, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, ამასთან ქალაქად და დაბად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთაც სურდათ სოფლად მიეღოთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, მათ განესაზღვრათ – 0,25 ჰექტარამდე, ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონებში – 0,15 ჰექტარამდე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია ისედაც დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უფრო დაქუცმაცება. ასე მაგალითად: დედოფლისწყაროს რაიონში მიწის რეფორმამდე ირიცხებოდა 46 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, რომელიც წარმოდგენილი იყო 560-მდე მიწის ნაკვეთზე, რეფორმის შედეგად 46 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაუნაწევრდა 26 000 მიწის ნაკვეთად, რის შედეგადაც დედოფლისწყაროს რაიონში მარცვლეულის წარმოება შემცირდა ოთხჯერ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც.

1996 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, აღნიშნულის საფუძველზე 1992 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა კომლექსისთვის (ოჯახებისთვის) გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბადე, საბოსტანე, სააგარაკე, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები, გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაწილზე კერძო საკუთრება გამოცხადდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან – 1997 წლის 25 ნოემბრიდან. 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს ორი კანონი: „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არა-

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“ და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“. ეს კანონები ძალაში შევიდა 1998 წლის 12 ნოემბრიდან. პირველი კანონის შესაბამისად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები 1998 წლის 12 ნოემბრამდე კანონიერად სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით, ეს მიწები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად, სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ. ეს საფასური შეადგენდა 1999

წლის დათესვის სადგურები, თესლის ხარისხისა და აღმოცენების დადგენის სამსახურები. ამასთან, კატასტროფულად შემცირდა მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დაიწყო დაშრობილი ფართობების მეორადი დაჭაობება, მოიშალა სარწყავი სისტემები, მიწიდან იღებდნენ სარწყავ მიწებს და ჯართში აბარებდნენ – გორისა და ქარელის რაიონებში მოიშალა ათასობით ჰექტარი დანვიმებით

საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები



წლის 1 იანვრამდე ერთი წლის მიწის გადასახადს, ხოლო 1999 წლიდან ერთი წლის მიწის გადასახადის ორმაგ რაოდენობას. 2010 წლის 21 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“.

1992 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი (№29) „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ“.

დადგინდა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ვალდებული არიან 1992 წელს გაატარონ რეორგანიზაცია, რაც არ შესრულდა. ნაცვლად სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კოოპერაციული საზოგადოებების, კოოპერატივების შექმნისა, დაიწყო ქონების დატაცება – განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის თანამედროვე ფაბრიკები, მელორეობის კომპლექსები, ვეტერინალური მომსახურების სადგურები, ჯიშთა გამოცდის და სასელექციო სადგურები, მანქანატრაქტორთა პარკის სადგურები, დაიწყო ტრაქტორების ქურდობა და ჯართში ჩაბარება... მეტიც, ასი გრამი სპილენძისთვის მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირადღირებული მონეტები... ქარხნებსა და ფაბრიკებში უნიკალური დაზგა-დანადგარებს ჩალის ფასად ყიდდნენ თურქეთსა თუ ირანში. ლიკვიდაცია გაუკეთდა სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ განადგურდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული უნიკალური ვენახის ჯიშების 400-ზე მეტი საწერგე მეურნეობა. კატასტროფულად შემცირდა ნათესი ფართობები, განადგურდა ჩაის პლანტაციები, შემცირდა ვენახების, ციტრუსების, ხეხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. მოიშალა (შეიძლება ითქვას, განადგურდა) სოფლის მეურნეობის დარგის ინფრასტრუქტურა, თესლბრუნვები, მრავალწლიანი წარგავების ნერგების წარმოება, ხელო-

სარწყავი სისტემა, მალხაზის წვერზე მონყობილი სრულიად ახალი, უახლესი ტექნოლოგიით მონყობილი დანვიმებითი სარწყავი სისტემა ჯართში ჩაბარდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სიღნაღის რაიონის წნორის კომპლექსის დანვიმებით სარწყავ სისტემაზე, ჯართში ჩაბარეს ფრეგატების დანვიმებითი სარწყავი დანადგარები. ქურდობა იმ დონეზე მივიდა, რომ სოფლებში ელექტროსადენებს იპარავდნენ და ჯართში აბარებდნენ. საქართველოს ტყეებში შეწყდა ტყეთომწყობის სამუშაოების განხორციელება, მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახურები, ხეები დააავადდა, აღარ ტარდებოდა სანიტარული და მოვლითი ჭრები, დაიწყო ტყეების უსისტემო ჩეხვა-განადგურება.

საქართველოში 1992-1998 წლებში ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი წარგავები დაქუცმაცდა და განიავდა. ასეთმა მდგომარეობამ არამარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ, საქართველო უკან დასწია და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების ეკონომიკურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენის აზრით), ქართული მიწის დაზღვევის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარ-

ტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმონყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმონყობათა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით,

რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას – მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით, რამდენი ჰექტარია ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საინტერესოა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წ.წ.“, როდესაც არ იცის, რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?!

დღეს ძნელად წამოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები – სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველია.

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, არსებული მიწის რესურსები და მდიდარ ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში, შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტა, ინვესტორების დანისტერესება და საყოფაცხოვრებო პირობების სათანადო დონემდე აყვანა. ამისათვის საჭიროა:

1. აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. ყოველწლიურად გაკეთდეს მიწის ბალანსი;
3. მიღებული იქნას მიწის კოდექსი;
4. ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია.

ანზორ მესხიძე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პროფ. გიორგი გოგიჩაძე მეცნიერთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელნიც თავდადებით კვლევას მძღობენ...

ახლახან გამოვიდა ბ.ნი გიორგის მონოგრაფია - „ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარების ეტაპები“...

ამ წიგნმა შორეული წარსული გამახსენა... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ...

ჩვენი რედაქციის პირდაპირ ჯანდაცვის სამეცნიერო საბჭოს ოთახი იყო. საბჭოს თავმჯდომარე ვახლადი ცნობილი ქირურგი, აკად. კონსტანტინე ერისთავი...

პროფ. გ. გოგიჩაძეს და დოც. ი.აბულაძეს ოთხ თავად დაუყვიათ წიგნი, რაც მისი შინაარსის უკეთ აღთქმის საშუალებას გვაძლევს...

ამ მხრივ საინტერესოა ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარების ისტორიის მოკლედ გადმოცემა...

ახვევ საინტერესოა აგრეთვე მცენარეთა სამკურნალო გამოყენების შესახებ ცნობები, რომლებიც მოიაზრება უძველეს კულტურის ძეგლებში...

ახვევ საინტერესოა - პირველი სამედიცინო ხასიათის ცნობები. ამ თვალსაზრისით განახლოვებული აქვთ ქართული ეპოხი „ამირანის“ (ძვ.წ. II ათასწლეული)...

უძველესი დროიდან ყოფილა ცნობილი საქართველოში, კერძოდ სვანეთში, ყვავილის საწილი...

პეტრე იბერიელს (412-488) ფილოსოფიურ განათლებასთან ერთად, ბიზანტიის კეისრის სახლის კარზე მოილა სამედიცინო განათლება...

ავტორები სახელები მოაქვით და ფიქრობენ, რომ ფიოდალიზმის პერიოდში (VI-X) საქართველოში მედიცინა განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა...

აქვე დასახელებული შატბერდის ქრესტომათიდან ამოღებული იონანე ბერაიას მიერ (IX-X) შედგენილი თხზულება - „სამკურნალო ტრაქტატი“...

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლელმა დამპყრობლებმა შეაფერხეს და დააქვეითეს საბუნებისმეტყველო (და არა მარტო საბუნებისმეტყველო) მეცნიერების განვითარება...

ამ საქმეში თავის საპატიო ადგილი მიჩნეულია გიორგი ელიაშვილის (1885-1974 წწ.), გიორგი ვიციას (1891-1937 წწ.) და ქართველ მეცნიერთა მეცნიერული მემკვიდრეობა.



გიორგი ელიაშვილი

აქვე ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელსაც მრავალი სამედიცინო შინაარსის ხელნაწერი უნახეს, მაგრამ ეს ხელნაწერები დღემდე მიკვლეული არ არის.

ბ. ჭიჭინაძე აღწერს რამდენიმე ხელნაწერს, კერძოდ - მამიდაშვილის კარაბაძის (XII-XIII), ბაგრატი ბაგრატიონის და როსტომ ექიმის კარაბაძის (XI ს.), გრიგოლ ექიმის კარაბაძის (XVI), ამ კარაბაძიდან მოტანილია შემდეგი ამონარიდი: „ექიმობა, ორ არს, ერთი მეცნიერება და მეორე - მეცნიერების მოხმარება“...

ავტორებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენილია ის ფაქტი, რომ ქართულ ოჯახებში ამჟამად დედინე ქეიმებს. ასეთი ოჯახები იყვნენ - ყარაღაშელების ოჯახი. ამ ოჯახიდან რამდენიმე ექიმი გამოვიდა - იონანე ყარაღაშევილი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს დაუწვია ყვავილის საწილი...

დიდი სულხან-საბას „სიტყვის კონა“, სამედიცინო თვალსაზრისითაც, საკმაოდ უხვ მასალას იძლევა, მასში აღწერილია რაციონალური მკურნალობის ეფექტურობა მალაიურებით, ნაძვლებით...

ავტორთა გულმისჯილობით ნათქვამს შეუძლებელია არ დაეთანხმო - „რომ არა რუსების, კერძოდ, პეტრე I-ის ანტიქართული, ძირგამომთხრელი საქმიანობა, ალაღობი (რამაც საქართველო საბოლოო ჯამში დაუპირისპირა მაჰმადიანურ კოალიციას), ვახტანგ VI-ს მორალური უფლება ჰქონდა ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა და ქართველ მეფეთა შორის, უშუალოდ დავით აღმაშენებლის შემდეგაც კი...“

გულუბრყვილო ბაგრატიონი (ვახტანგ VI, ბ.ა.) კი 40 000 მხედრით ამაოდ ელის მტკვარზე შეპირებული ნავს.

და „რუსების საფლაგზე მდებარე კანდელი“, როგორც ვახტანგი უწოდებდა, თავის მოკავშირეს (პეტრე I, ბ.ა.) - საქრისტიანო ქვეყანას იანჩირებს აძლევს სათარებულს. საქართველო რჩება „ვიტარცა ნავი ოკიანესა შინა მცურვალა“, იყოფა საჯარყოფითად, საფაშალიყოფად, სახანოებად და ბეგლობებად...“ (გაზ. „ნაციონალიზმი“, 1920, №20).

რუსეთი, საუბედურად დღესაც აგრძელებს ამ მოლაღატეობრივ და დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ...


მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლელმა დამპყრობლებმა შეაფერხეს და დააქვეითეს საბუნებისმეტყველო (და არა მარტო საბუნებისმეტყველო) მეცნიერების განვითარება...

ავტორებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენილია ის ფაქტი, რომ ქართულ ოჯახებში ამჟამად დედინე ქეიმებს. ასეთი ოჯახები იყვნენ - ყარაღაშელების ოჯახი. ამ ოჯახიდან რამდენიმე ექიმი გამოვიდა - იონანე ყარაღაშევილი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს დაუწვია ყვავილის საწილი...

ავტორებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენილია ის ფაქტი, რომ ქართულ ოჯახებში ამჟამად დედინე ქეიმებს. ასეთი ოჯახები იყვნენ - ყარაღაშელების ოჯახი. ამ ოჯახიდან რამდენიმე ექიმი გამოვიდა - იონანე ყარაღაშევილი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს დაუწვია ყვავილის საწილი...

ავტორებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენილია ის ფაქტი, რომ ქართულ ოჯახებში ამჟამად დედინე ქეიმებს. ასეთი ოჯახები იყვნენ - ყარაღაშელების ოჯახი. ამ ოჯახიდან რამდენიმე ექიმი გამოვიდა - იონანე ყარაღაშევილი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს დაუწვია ყვავილის საწილი...

ავტორებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენილია ის ფაქტი, რომ ქართულ ოჯახებში ამჟამად დედინე ქეიმებს. ასეთი ოჯახები იყვნენ - ყარაღაშელების ოჯახი. ამ ოჯახიდან რამდენიმე ექიმი გამოვიდა - იონანე ყარაღაშევილი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს დაუწვია ყვავილის საწილი...



ქართული-ინგლისურ-რუსულ-ლათინური სამედიცინო ტერმინთა და ცნებების განმარტება

თელ მსოფლიოში სახელმწიფო მეცნიერთა პორტრეტების გვერდით ჰქონდა ჩვენი თანამემამულის პორტრეტი. მისი პორტრეტი ამჟამინდებს ამერიკის შეერთებული შტატების მედიცინის მუზეუმს. პარიზში გამოცემულია გიორგი ელიაშვილის სამეცნიერო შრომები ფრანგულ ენაზე და ა. შ.

ამ სტრუქტურის მქონე ნაშრომში, რომელშიც მოხსენიებულია გიორგი ელიაშვილის სამეცნიერო შრომები ფრანგულ ენაზე და ა. შ. მისი ნაშრომები აღწერილია მათი მნიშვნელობის მხრივ. პარიზში გამოცემულია გიორგი ელიაშვილის სამეცნიერო შრომები ფრანგულ ენაზე და ა. შ. მისი ნაშრომები აღწერილია მათი მნიშვნელობის მხრივ.

ვიფიქრებ, ამ შესანიშნავი წიგნის მიმოხილვით შემოვიფარგლები-მითქი, მაგრამ გადავხედე ბ.ნი გიორგის შრომების ბიბლიოგრაფიას და ჩემი განზრახვა ნაადრევად აღმოჩნდა.

ბ.ნი გიორგის მეცნიერული ინტერესი მრავალ პრობლემას სწვდება, მათ შორის შეიძლება დავახსენოთ კაცობრიობის უპირველესი მტრის, კიბოს დიაგნოზისა და მკურნალობის ახალი მეთოდის შემუშავება, ამ თემისადმი მიძღვნილი მონოგრაფია - „კიბო - XXI ს-ის პრობლემა: რა გველის ხვალ“ (2016).

თემა რომ აქტუალურია, ამაზე ლაპარაკი ზედმეტად და სიტყვას აღარ გავავრძელებ. ამას კი ვიტყვი, რომ ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია კანცეროგენიზმის სფეროში არსებულ ეთიკურ საკითხებზე. აგრეთვე ორსინკარინის, იგივე კარდოგრაფულ თეორიაზე, როგორც პროფ. ნოდარ ჭიჭინაძე წერს, ამ „პრობლემის დამუშავებას და გვიჩვენებს 30 წელზე მეტი მონაღონა. მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო აღნიშნული თეორია დაუმსახურებლად არის იგნორირებული კანცეროგენიზმის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მიერ“.

ბ.ნი გიორგი, გული არ გაიტეხო, სახლე მეცნიერებაში არც თუ იოლად ინერგება და მისი აღიარება გვიან ხდება - ქართველი ხალხის მითქ...

ვაშია - „სიმათლის თესლი იხარებს, თუნდ დარგო სიძსა ქვაზედა“.


ბ.ნი გიორგის მეცნიერული მემკვიდრეობის სურათი სრული არ იქნება თუ მის ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობას გაკვრით მაინც არ შევეხებით.

წიგნისმიერი დარგის ლექსიკონს თუ რა მნიშვნელობა აქვს, აღარას ვიტყვი. გავეცნობ ბ.ნი გიორგის შედგენილ ლექსიკონს სიას: „ბიოლოგიურ და სამედიცინო ტერმინთა და ცნებების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“, 2000; „ბიოლოგიურ და სამედიცინო ტერმინთა და ცნებების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“, 2005 (მეორე შეესებული გამოცემა); „სამედიცინო მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი“, 2008; „სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი“, 2009; „ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებების ლექსიკონი“, 2011; „ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინურ სამედიცინო ტერმინთა და ცნებების განმარტებითი ლექსიკონი“, 2016.

ეს უკანასკნელი ლექსიკონი შეიცავს სამედიცინო სამყაროში 6860 ყველაზე უფრო გავრცელებულ ტერმინს, ცნებას და სიტყვას კომპლექსურ ფორმებში მოყვანილია მათი ეტიმოლოგია, შემდეგ მოკლე განმარტება, მასში შესულია ყველაზე გავრცელებული სინონიმები.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონი მრავალწლიანი, გულმოდგინე შრომის შედეგია. აქ მახსენდება ფრანგი ფილოლოგის სკალიგერი ფიულ-ცეზარის (1494-1558 წწ.) სიტყვები: „თუ მისჯილი აქვს ვისმეს მტანჯავი შრომა და ელოდება ბეჩავს ტანჯვა-წამება, ნუ დაავლებთ მჭედლის ურთი კვერვას, ნურც მალარში მადნის ძნელად მოპოვებას“.

დაე, შეადგინოს მან ლექსიკონი და ეს შრომა



გვგოგიაძე, აკადემიკოსი

ყველა სახის ტანჯვა-წამებას გაუტოლდება...“ როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონში განმარტებულია 6860 სამედიცინო და ბიოლოგიის ტერმინი. მოიცავს 585 გვერდს. თანაგვერდია არჩილ გედეშელის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გვეშთა ქირურგის ცნობილი სპეციალისტი.

საქართველოში რუსების ორსაუკუნოვანმა ბატონობამ სხვა „სიკეთებთან“ ერთად ქართულ ენასაც თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია. ქართულ მეტყველებაში შემოიჭრა და დამკვიდრდა რუსული სიტყვები, რომლებმაც მოიცვა თითქმის ყველა სფერო, მართალია დღეს რუსულმა ენამ უკან დაიხია საქართველოში, მაგრამ რუსული სიტყვები მაინც სწრაფდნენ ქართულ მეტყველებაში. ამ საჭირობით საკითხისადმი მიძღვნილი ქეთი და გიორგი გოგიჩაძეების მიერ შედგენილი ლექსიკონი - „რუსისებში ქართულ მეტყველებაში“ (2011). აქვე აღვნიშნავ, რომ ქ.ნი ქეთი რუსული ენის ჩინებული სპეციალისტი.

ახლა მოკლედ ლექსიკონის შესახებ: მასში მოცემულია ჯერ თანამედროვე ქართულ მეტყველებაში გამოყენებული რუსული სიტყვები, შემდეგ არის რუსული სიტყვა, საიდანაც საწყის ფორმას იღებს ესა თუ ის რუსული. შემდეგ კი აღნიშნულია რუსისებში ქართული შესატყვისი. ასე მაგალითად - ბრაკი - Брак - წუნდება; ბრიტვა - Бритва - სამართლებელი; ბასაკი - Басяк - მანანალა; ბუინი - Буйный - ფიცხი, შმაგი; სპორი - Спор - კამათი, ბუქრობა და სხვ.

ბ.ნი გიორგის სულ მალე 80 წელი შეუსრულდება. ამ ობიექტს იგი ხელახლავს და ხვდება. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ენერჯით და ოპტიმიზმითაა სავსე. ამიტომ არ შეეწყება, რომ კიდევ არაერთ საინტერესო და საჭირო ნაშრომს შემადგენ ქართულ მეცნიერებას.


ბ.ნი გიორგი! გისურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას თქვენი ოჯახით - მეუღლით, შვილებით და შვილიშვილებით.

გონდო არველაძე, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნოვალი ბართია

დასაწყ. ნინა ნომერეში

როგორ განვაკურნო პასუხები კოტეტიშვილი



ვასუტეი კოტეტიშვილი ფართო საზოგადოების წინაშე პირველად, როგორც სპარსული პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელი, წარსდება. მის მიერ სპარსულიდან გადმოღებული ლექსები კეთილზმოდ განხილული ზოგადი სტარბოვნი კიდევ დედანს. აი, ერთი მაგალითი:

*„ბაგით დაწვდი დოქის ბაგეს,
ბაგე გადავიბადავე,
დღევანდელთა ვეივებდი,
ფათა სრულით დავიდავე.
დოქის მითხრა საიდუმლოდ:
მომავლებს ბაგეს ბაგე,
განა ქვეყნად კიდევ მოხვალ,
დალოო, რას ქადაგებ!“*

ალბათ, დამერწმუნება მკითხველი, რომ – „ბაგით დაწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადავე“ უფრო კეთილზმოდანია, ვიდრე მისი შესატყვისი ტაეი – „ლბ ბარ ლბე ქუზე ბორდამ აზ ღაითთ აზ.“

ეს კი ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა მთარგმნელი თავის მოზღვავებულ პოეტურ ენერჯიას ვეღარ ამწყვედევს ორიგინალის ტაეითა არტაეებში.

ასე უთარგმნა მას ომარ ხაიმის, ჰაფეზი შირაზელის, აბდ ორ-რაჰმან ჯამის, ჯეალად ედ-დინ რუმის, აბუ საიდის და სხვა სპარსულ კლასიკოსთა პოეზიის უკვედვი ნიმუშები.

აღმოსავლური პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელი ვასუტეი კოტეტიშვილი, ასევე ცნობილი გახდა როგორც ბრწყინვალე მთარგმნელი დასავლური (გერმანული, რუსული, ესპანური) პოეზიისა, რომელმაც ერთ კრებულში მოუყარა თავი აღმოსავლური და დასავლური პოეზიის შერწყმულ ლირიკის თარგმანთა ნიმუშებს და გამოსცა სახელწოდებით – „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“.

ვასუტეი კოტეტიშვილი, როგორც ფართო გაქცებისა და დიპლომატიის მქონე მოღვაწე, ასევე ვაჭარად, ვერ ჩაეტემა ირანისტიკის ჩარჩოში და ხალხური შემოქმედების სამყაროში შეიჭრა. მის მიერ მონაწილეობა ქართულმა ფოლკლორულმა საღამოებმა კი გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელი საქართველო მოიკვცა.

ვასუტეი კოტეტიშვილი დავიჯობოვდა მეტაფორით უნარის შესანიშნავი ნაწარმები – „ჩემი წილისყოფი“, სადაც მალაზმანცერული ფერებით არის გადმოცემული მის მიერ განვლილი ცხოვრების წლები. შეიძლება ითქვას, ეს ნაწარმები თავისი ტაბლი-მწარე მოგონებებით მხატვრული მატარებელი უახლესი ისტორიის ერთი მონაკვეთისა.

ვასუტეი კოტეტიშვილი სამეცნიერო-შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, წლების განმავლობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა აღმზრდელითაქმიანობას. ჩვენს ჯგუფს უკონდა ბედნიერება, მის ხელში ვაგველი სტუდენტობის წლებს. მისი ყოველი ლექცია იყო ზემო. ჩვენ სპარსულთან ერთად მისგან ვეზიარებოდით მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, სიტყვისა და ხელოვნების ჯადოსნური სამყაროს მადლს. დამატებით, ასე ვთქვათ, ლექციებისთვის კი იგი გვიბარებდა თავის სახლში, ანუ თავისი მამის – დიდი ქართველი მეცნიერისა და შემოქმედის, ვახტანგ კოტეტიშვილის დანატოვარ, შეიძლება ითქვას, სახლ-მუხურში.

ვასუტეიმ თავისი ნიჭი და უნარი თარგმანს შეაღობა, მაგრამ ბოლომდე მანც ვერ უღალატა თავის მუზას და, სიცოცხლის ბოლოს, პოეტური კრებულთა წარსდება მკითხველის წინაშე. იგი უკვე ცუდად იყო, ყელი ანუხებდა, აპარატს მიერთებულს, უჭირდა საუბარი. მივედი მასთან მონახულებისა და წიგნის გამოთმების მიზნით. უხასიათოდ იყო, მიგდებოდა. გაუხარდა ჩემი ნახვა. ურთიერთ კითხვა-პოკითხვის მერე აიღო წიგნი, წარწერით მაჩუქა და თან დაუშვატა:

– ხომ არ გინდა, რომელიმე ლექსი წაგიკითხოო. ვასუტეის წაკითხული ლექსის მოსმენა როგორ არ მინდოდა, მაგრამ, მომერიდა, ვიფიქრე, კაცს ხმა თითქმის ჩახლუნოლი აქვს, ძლივს არის, როგორ შევანუხო-მეთქი და მივეუცე:

- არა, არა უშავს, არ მინდა შეგანუხო-მეთქი.
- არაფერია, მე არ შეგნუხებდი, ლექსების კითხვის მერე კარვად ვხვდებოდი და დაინყო კითხვა. მართლაც, მოხდა სასწაული, ჩახლუნოლი ხმა, ყოველი სტრიქონის წარმოთქმის მერე, ეწმინდებოდა.

ერთ საათზე მეტ ხანს ვაგრძელებდი, ასე ვთქვათ, დაუვინყარი პოეზიის საღამო, რომელიც გამართა ვასუტეიმ მაშინ თავის ოთახში, სადაც მსმენელი

შხაუნყლა ფუტობანოგრაფია ჩანახატებდენ

ვიყავი მხოლოდ მე.
მას მერე ვასუტეის დიდხანს არ დაუყვია სამზოზე. ეს იყო ჩემი ბოლო შეხვედრა კაცთან, რომელმაც ჩამომაცალიბა მე, როგორც პიროვნება. ბედნიერი ვარ, რომ სწავლის გასაგრძელებლად სოფლიდან ქალაქში ჩამოსული ახალგაზრდა მის ხელში აღმოვჩნდი. თუ რამე კარგი მაქვს, უპირველესად მას ვუმაღლო.

ვასუტეისთან რომ მივედი, როგორც ზემოთ ვთქვი, იგი მიგდებოდა იყო, ძლივს ლუღლუღებდა, წამოსვლისას კი, შეიძლება ითქვას, რაკაკებდა. აბა, რომელი ექიმი შემედრება, ავადმყოფი განკურნე მოსმენით.

სუტა გერულავა და კონსტანტინე ლორთქიფანიძე



ერთხელ, თურმე, სუტა ბერულავასა და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს შორის შვება კატამ გაიგობინა. სუტამ ყბაში ხია მარჯვენა კონსტანტინეს.

კონსტანტინეს „ლიტერატურული გაზეთი“ უჭირავს ხელში, რომელიც ვახტანგ ქელიძისკენ გაიშვირა და სთხოვა:

– გამომართვი ეს გაზეთი!
ვახტანგმა ყურად არ იღო კონსტანტინეს სიტყვები.

– მე შენ გეუბნები, გამომართვი ეს გაზეთი!
– გაუმეორა ვახტანგმომხელმა კონსტანტინემ ვახტანგს, ახლა უკვე ბრძანების ტონით.

ვახტანგმა არც ბრძანების ტონით ნათქვამზე შეიპარტყუნა ყური.

– მე შენ გეუბნები, გამომართვი ეს გაზეთი! – მთლად გადართა თურმე კონსტანტინე. ვახტანგმა, ნაცვლად იმისა, ბოლოს და ბოლოს, ყურად ეღო კონსტანტინეს, ასე ვთქვათ, ბრძანება, მომრიგებელი მოსამართლის მანტია მოისხა, რამაც, ასე იყო თუ ისე, ნაცოფი გამოიღო. ჩაუცხრო წამიერად აგიზგიზებული ცეცხლი ორივეს ერთმანეთს მიმართ.

წარმოდგენაც არ მინდა იმისი, თუ რას უზამდა მაშინ კონსტანტინე ლორთქიფანიძე სუტა ბერულავას, მისთვის ვახტანგ ქელიძეს ის გაზეთი რომ გამოერთოდა.

როგორ დაიბადა გიორგი ლორთქიფანიძის „ნატვრის ხე“

სუტა ბერულავას ნაამბობიდან: გიორგი ლორთქიფანიძე ვეხვებოდა ხოლმე თავისი სოფლის ამბებს მეტად ხატოვნად, ლამაზად და საინტერესოდ. მოსაყოლიც არეულებოდა. ვადიოდა ასე ხანი. მე გამომცემლობის დირექტორი ვიყავი და ვთხოვე, გადაეტანა თავისი მონათხრობები ქალაქში, მოეზადებინა გამოსაცემად და გამოეუქმეებინა.

შემირდა, მაგრამ საშველი არ დააყენა. ვთხოვე ისევე, ისევე შემირდა და ისევე ჰაერში დარჩა მისი სიტყვები.

შევასვენე, რას შერბები, რომ შემპირდი, როდის მომიტან შენი სოფლის ამბებს დასახებდა-მეთქი?


– მოვითქვამ, მოვიტანო!
შევატყვე, არაფრის მომტანი არ იყო და ასეთ ხერხს მივმართე: წინასწარ გამოეუწერე ჰონორარი, რომ მიეძლეებინა ჩაეზარებინა კრებულში გამომცემლობისთვის დასახებდა. გიორგის ათასი ცოცხალ-მკვდარი ჰყავდა აკიდებული, ჩამოწერილი ჰქონდა სია, ვისთვის რა თანხა ჩამოერთვებინა ხელფასიდან თუ ჰონორარიდან და შემოთავაზებდა უარი ვერ თქვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ წიგნი დროზე უნდა ჩაეზარებინა გამომცემლობისთვის და

ორი მწერალთა კავშირი

რეზო მიშველაძის 70 წლის იუბილეს ზემომბს მადლიერი ქართველი ხალხი მარჯანიშვილის თეატრში. საზეიმო საღამო მიჰყავს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს.

– ახლა სიტყვას ვაძლევ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორს, მწერალ ბადრი ქუთათელაძეს – დაინყო საღამოს ნამეგანმა, – ჩვენ ორივე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვართ, ოღონდ მე ცოცხლების, ის კი – მკვდრების. დარბაზს მზიარულების ტალღამ გადაურა. მაგრამ მზიარულების ტალღის გადავლა მაშინ უნდა გენახათ, როცა ბადრიმ დაიწყო: – ქალბატონო მაყვალა, მართალია, თქვენ ცოცხალ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბრძანდებით და მე – მკვდრების, მაგრამ იცოდეთ, მკვდარ მწერალთა კავშირში მიღება უფრო ძნელია, ვიდრე ცოცხალში.

ზაურ ბოლქვაძე



ბედმა გამიღობა, რომ უნივერსიტეტში, პირველ კურსზე მისულს, დამხვდა ზაურ ბოლქვაძე. ზაურს მანამდე ვიცნობდი, მისი პათეტიკური, ენერჯითი სავსე ლექსებით. მაშინ რესპუბლიკაში რამდენიმე ლიტერატურული ფურნალი და გაზეთი გამოდიოდა, სადაც მოხვედრა, მით უფრო ახალგაზრდა შემოქმედებისთვის, არც თუ ისე ადვილი იყო. რადიოც მქონდა მოსმენილი ზაურის ხმა. მომწონდა მისი პოეზია, ზეპირადაც მასსოვდა მისი ფრთიანი პოეტური სტრიქონები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა: „მოიცებს მთები – დაჯანგებული, და ცაში მათი ლამის თევზნი... მთა არის მინა – აჯანყებული, დედამინაზე დაუტყვარი!“

უნივერსიტეტში მაშინ ლიტერატურული წრე მუშაობდა, რომლის წევრად ითვლებოდა ყველა, ვინც კი დადიოდა იმ შინაარსიან ლიტერატურულ შეკრებებზე. იქ ვაიციანი პირადად ზაურ ბოლქვაძე, საიდანაც ჩავეყარა საფუძვლი ჩვენი მომავალ ურთიერთობებსა და მეგობრობას.

იმ დღიდან, ჩემი ლექსების გვერდით, ზაურის, ასევე ვთქვით, ჩემი ერთ-ერთი უსაცვარელი ლექტორი გახდა, რომელიც, საკუთარი ცხოვრების მაგალითზე, მასწავლებლიდა სიყვარულით ცხოვრობას. იმეითად მოიძებნებოდა ზაურივით გულთბილი ადამიანი. ქუჩაში როცა შეხვდებოდა მატერიალურად არც თუ ისე დაღვინებული ახლობელი, გადაეხეცოდა, მოკითხავდა დიდი სიბოთი, მერე ეტყოდა: – ა, ლომო, რაცა მაქვს შუაზე ვაიციოთო და მის თვალწინ გაყოფდა რაც ჰქონდა იმას. ვასაციოთ თუ არაფერი ჰქონდა, ბოლო კაპიუსაც არ დაიშურებდა მისთვის, მერე მოუბოდიშებდა კიდევ – მეტი არა მაქვსო.

პირველ კურსზე ვიყავი. ლექსებს ვწერდი, მაგრამ გამომცემლობას ვერ ვებედავდი. ზაური უნივერსიტეტის გაზეთში მუშაობდა, რედაქტორის მოადგილედ. გაზეთში ლიტერატურულ გვერდს აძლევდნენ ხოლმე. მითხრა, ლექსები მომიტანი და დავიბეჭდავო.

მოუხედავად იმისა, თვითონ გამოიჩინა ყურადღება ჩემს მიმართ, მაინც მომერიდა ლექსების მიტანა უნივერსიტეტის გაზეთში. რამდენჯერმე მივადექი კიდევ რედაქციის კარებს, მაგრამ უკანვე გამოვბრუნდი. მეორედაც მითხრა, მესამედაც და... გავებედი, როგორც იქნა. რამდენიმე ლექსიც დამიბეჭდა. რადამაინყებლს იმ სიხარულს, მაშინ რომ ვანეცვადე!..

გამათამაშა, გამბედაობა მომცა და საკუთარი ძალებსადმი რწმენა განმამტკიცა ზაურმა მაშინ.

რამდენადაც უნივერსიტეტში შემოსვლამდე ვიცნობდი ზაურის პოეზიას, ამდენად მეგობრა, რომ ზაურ ბოლქვაძე წიგნების თუ არა, წიგნის ავტორი მაინც იქნებოდა, მაგრამ გაიკვია, რომ ასე არ ყოფილა. მერე გამოვიდა მისი პირველი კრებული „ლევის დასაწყისი“, რომელიც მისთვის ჩვეული, მეტად თბილი წარწერით მაჩუქა პირველკურსულ სტუდენტს. ეს პირველი წიგნი იყო ავტორისგან ნაჩუქარი ჩემთვის.

ზაური იუმორის ზღვა იყო, ამ მხრივ მის ამ მოზღვავებულ ნიჭს მეტი ვასაქანი უნდა მისცემოდა და მიეცა კიდევ, როცა იგი ნოდარ ღუმბაძემ ჟურნალ „წინაგში“ მიიწვია სამუშაოდ. შემდეგ მან შესანიშნავად გაავრცელა ნოდარ ღუმბაძის გზა და „წინაგის“ იმ ნომრებით, რომელიც მისი რედაქტორობით გამოვიდა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული იუმორის ისტორიაში.

იუმორთან არც მე ვიყავი მწყრალად და ჩვენი ურთიერთობა ახალ ამბულაში გადავიდა. ზაური ჟურნალის თითქმის ყოველ ნომრში მიქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს. გარდა ამისა, სისტემატურად ვანედიდი თემებს ნახატი ხუმრობებისთვის. ასე რომ, აქტიურად ვთანამშრომლობდი ჟურნალში და, ასე ვთქვათ, ღვანლიც დამიფასდა – ერთ მშვენიერ დღეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის ჩემი სახელი და გვარიც ვიხილე, თანაც, გამომდინარე ალფავიტი მისხედით წყობისა, ჩემს მერე მოდიოდნენ... ნოდარ ღუმბაძე, ნოდარ მალაზონია, რეზო მიშველაძე, გიზო ნიშნანიძე, ფანი სიხარულიძე, გურამ ფანჯვიკიძე, გიგლა ფირცხალავა, ჯანაშვილ ჩარკვიანი, რეზო ჭყივილი, თამაზ ნინვიცაძე... მხოლოდ ჭაბუა ამირეჯები და ავთანდილ ადგიშვილი იყვნენ ჩემს წინ.

ერთხელ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ვისი ორგანიც იყო ჟურნალი „წინაგ“, გამოიტანა უმკაცრესი დადგენილება საზოგადოების ხორცმეტების, მუნუკების, ნურბელის, ზოგადად – ანტიბოლშევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღობა მათ პარაზს. „წინაგ“ პირველი გადაეშვა მათთან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. დავიბარა რედაქტორმა თავისი აქტივი და ჩამოვივირა დავალებანი, ზოგი სად მიგვავლინა და, ზოგი სად, თვითონ კი ქუთაისი, – ყველაზე შუეუვლი ბასტიონი ანტიბოლშევის – აილო სამიზნედ, იქ უნდა გადაეტხილიყვნენ ხერხემაში ანტიბოლშევი იქ უნდა დამწვარიყო პირველად მინა მათ ფეხებში!..


– არ დაინდოთ არც ერთი! ვინც არ უნდა იყოს! მოსპეთ, გაანადგურეთ, გააცამტვერეთ, თორემ იცოდეთ, უკანასკნელი იქნება თქვენი ფეხი აქ!.. – ცეცხლს აფრქვედა პირიდან რედაქტორი. დაბნეულები გამოვედი რედაქციიდან და უბრად დავცილდით ერთმანეთს, ასეთი ზაური არასოდეს გვენახა!..

ანტიბოლშევის მეტი რა იყო ქვეყანაზე და, ერთი კვირის თავზე, ნელგამართლებმა შევადე რედაქციის კარები... ერთი სული გვექონდა, როდის გადავცივდით რედაქტორს ჩვენ-ჩვენ ნადავსს!.. და აი, ამ დროს, რას ვხედავთ, ზაური ყურებჩამოყრილი ზის თავის სავარძელში და წირნამხდარი მოგვანიშნებს სკამებისკენ. დავსხედით. სამარისებრი სიწუმე ჩამოვარდა, რომელიც ისე ზაურმა დაარღვია: – რას ვეროთ ამ ანტიბოლშევის! ეს რა ენაზე! ეს რა კარები ყოფილან! რა ბიჭები, რა ვაქციები, რა გულის ხალხი! ეს რა პატივი მცემს!.. ერთი კვირა გადამყვენ! შავი ვოლებით დამაგრილებდნენ რესტორნებდა რესტორნებში!.. საკოსტუმე მაჩუქეს! არ გამოგონოთ მავათზე ცული, თორემ უკანასკნელი იქნება თქვენი ფეხი აქ! – გვითხრა ბოლო სიტყვები ისეთივე სიმკაცრით, რა სიმკაცრითაც – ერთი კვირის წინ, როცა გავდიოდით აქედან ანტიბოლშევიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გასამართავად.

განა ვინმეზე ნაწყენი არ იქნებოდა, მაგრამ, არ მასსოვს მათზე ცული წიგნი წარსუცდენოდა, იუმორით კი სათქმელს არ დააკლებდა. „წინაგის“ რედაქციაში ვართ, ჟურნალის ერთ-ერთმა მტატარუმე კორესპონდენტმა სთხოვა, მუამდგომლობა გავნა მისთვის მილიციის უფროსთან, თოფის გამოყოფასთან დაკავშირებით. – თოფი გინდა ლომო? დაჯექი, ახლავე დაგინერ შუამდგომლობასო და ვგრევე გაუმანშალა საბუთი. იმის გამო, რომ შეიძლება იუმორი ყველამ ერთნაირად ვერ გააგოს, მთხოვნელს „ვილაცა კაცი“ მოვიხსენიე: ვილაცა კაცი უშტატო კორესპონდენტი ჩვენი, ქრთამებზე დარბის, მუმაკობს, არ დაილცა რბენით. ალბამა მაგარი, ნალეუვათა ცოფი, არის უთოფო ყაჩაღი, გთხოვთ, გამოუყოთ თოფი! ნაიკითხა ეს, ადგა, სეფიდან ბექქედი გამოიღო, დააორთქლა, დაარტყა დოკუმენტს, მიღიანს გასძახა – გაატეკე ეს საბუთებშიო და გადაცა მთხოვნელს. ერთნაირად ვიცინეთ ყველამ იმ საბუთზე, თავის მთხოვნელთან ერთად.

ანანია შირაკაის „სომხური გეოგრაფია“ (VII ს.)

ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, არმენისტის, ლიტერატურათმცოდნის, ბატონ ბონდო არველაძის მოღვაწეობა და მისი შრომები, რომლებიც ძირითადად ეძღვნება ქართულ-სომხურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს. 2020 წელს ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მან კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეაქვს. მხედველობაში გვაქვს ნაშრომი – „ანანია შირაკაი – სომხური გეოგრაფია (VII ს.)“



ანანია შირაკაის ნაშრომი – „სომხური გეოგრაფია“, ანუ „აშხარაცუიცი (VII ს.)“ ქართველი საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით სამეცნიერო წრეებისთვის მრავალმხრივ არის საინტერესო, რამდენადაც მასში ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერილია სხვა ქვეყნებთან ერთად, VI-VII საუკუნეების კოლხეთის, ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ტაძრები, ტოპონიმი და ა.შ.

ნიერო წრეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ბონდო არველაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აკადემიკოს ს. ერემიანის „აშხარაცუიცი“ 1963 წლის გამოცემაზე (ეს გამოცემა იმთავითვე დეტალურად შეისწავლა ლ. ჯანაშიამ – „სომხური ანონიმური გეოგრაფია.“ ბატონ ბონდოს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს ლ. ჯანაშიას დამოკიდებულება „აშხარაცუიცი“ ავტორისადმი. იგი მიუთითებს, რომ მას პტოლემეოსისაგან ჰქონდა აღებული თავისი ნიგნის ზოგადი სქემა, აგებული პრინციპი და ზოგიერთი ცნობა ფიზიკური გეოგრაფიიდან. ამიტომაც არის დავალებული პტოლემეოსისაგან). ნაშრომში ერემიანის ყურადღებას ამახვილებს „აშხარაცუიცი“ ავტორზე. კერძოდ, მიუთითებს, რომ ნაშრომის ავტორი არის არა მოვსეს ხორენაცი, არამედ ანანია შირაკაი. ამასთანავე მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „აშხარაცუიცი“ თავდაპირველად იყო თხუთმეტი რუკის კრებული, სადაც წარმოდგენილია დიდი სომხეთის, კოლხეთის, ქართლისა და ალბანეთის რუკები. თუმცა რუკები, დროთა განმავლობაში, დაიკარგა და მხოლოდ მათი აღწერილობა შემორჩა. მეცნიერი იმავდროულად ცდილობს, რომ „აშხარაცუიცი“ მიუჩინოს ადგილი მსოფლიო კარტოგრაფიის ისტორიაში: „ძირითადი ნაწილი, დიდი სომხეთი, კავკასია და სანაინათა ირანის გეოგრაფიული აღწერილობა დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაშრომია. ახალი სიტყვა არის მსოფლიო

გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში“. იმავედროულად მას ელინისტური სკოლის შესანიშნავ წარმომადგენელს უწოდებს.

ბატონმა ბონდომ, ერემიანის გამოცემაში, ყურადღება გაამახვილა ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულებაზეც. მიუთითებს, რომ სომხური მეცნიერი ცდილობდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის სურვილი დაენახა სომხეთის კათალიკოსის აბრაამ ალბათანეცის ქართლის კათალიკოსის კირიონ I-ისადმი მიწერილ წერილში. ამის საპირისპიროდ მეცნიერი დეტალურად გადმოცემს სომხეთის კათალიკოსის დამოკიდებულებას მას შემდეგ, რაც ქართული და სომხური ეკლესიები დამორღვევნი 608-609 წლებში: „ჩვენ ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ ლოცვაში, არც დედამძებობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენ ეკლესიებში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისგანაც სრულად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, როგორც ურჩებს. ეს ბრძანება უცვლელად დარჩეს ალბანელთათვის, რათა შერცხვით და მოიქცნენ მრუდე გზიდან“. ბონდო არველაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ კათალიკოსმა ფაქტობრივად აუკრძალა თავის ხალხს ქართველ ერთან ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა. კათალიკოსის ასეთმა აკრძალვამ კი განაპირობა ორი მეზობელი ქრისტიანი ერის დაპირისპირება და დამორღვევა, რამაც მიიმე კვალა დაამჩინა მათ შემდგომ ურთიერთობას.

კას ერთვის სომხურ ანბანზე განყოფილი ორასიათი ტოპონიმის კომენტარი. ბატონი ბონდო ნაშრომის მხოლოდ თარგმანით არ შემოიფარგლა, – მას ცალკე თავად აქვს წარმოდგენილი: „განმარტებანი და შენიშვნები ს. ერემიანის „აშხარაცუიცი“ გამოცემის ზოგიერთ კომენტარზე“. ისტორიული წყარო-მასალების გამოყენებით ვრცელი განმარტება და შენიშვნა აქვს დართული ს. ერემიანის თითქმის თითოეულ კომენტარზე, რითაც ერთგვარად აშეღებს სომხური მეცნიერის მცდარ შეხედულებებს თუ გამიზნულ მოსაზრებებს. მაგალითისთვის მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: 1. „ტიოც-ქარ-ს. ერემიანმა და 3. მურადიანმა სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში სათავე დაუდო ქართული ტოპონიმის – ტაოსკარის სომხურ ტაოს ქარად წარმოჩენას, რაც სომხურად „ტაოელთა კლდე“, ანუ სიმაგრეს ნიშნავს, ასეთი ტოპონიმი არცერთ წყაროში არ გვხვდება. ეს არის ქართული ტოპონიმის გასომხურების მცდელობის კლასიკური ნიმუში“. 2. N „ს. ერემიანი სვანებს სხვა ტომად წარმოადგენს. თითქოს სვანები და მეგრელები ქართველები არ არიან. მათი უცხო ტომად გატანა უხეში შეცდომა არის“. 3. „ჯავახეთი – ს. ერემიანი შექმნილ ქართულ მინას სომხურად თვლის, როცა აცხადებს, რომ 338 წლის შემდეგ ჯავახეთი ქართველთა ქვეყნის შემადგენლობაში შევიდაო. როგორც ლონტი მროველი გვამცნობს, მეფისნულის ჯავახოსის საუფლისწულო დომენი იყო ჯავახეთი. „ეს იყო ადრეულ ხანაში, როცა სომხები კიდევ არ სახლობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ“. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები მრავლად არის დასახელებულ ნაშრომში.

ბატონმა ბონდო არველაძემ დასახელებული ნაშრომის თარგმნით, შენიშვნებისა და კომენტარების დართვით უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას. მაშინ, როდესაც დასახელებულ ნაშრომზე ვეროპამ გასულ საუკუნეებში გაამახვილა ყურადღება და ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, მისი ქართულ ენაზე წარმოდგენა მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ბონდომ არა მარტო დააფიქსირა დამახინჯებული ტოპონიმები, არამედ მეცნიერულად, სხვადასხვა წყარო-მასალებით შეიტანა შესწორებები. ამასთანავე, სიღრმისეულად წარმოაჩინა საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი, რაც ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებზე მეტყველებს... ნაშრომი წარმოადგენს მდიდარ წყარო-მასალას დასახელებული პერიოდის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის კვლევისათვის.

ბატონი ბონდო ნაშრომში ასევე განიხილავს ადრე ფეოდალურ ხანაში ქართველების, სომხებისა და ალბანელების რელიგიურ-საეკლესიო ისტორიას. მიუთითებს, რომ ეს საკითხი სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ობიექტურად არ არის განხილული. კერძოდ, მიჩქმალულია სომხური ეკლესიისა და სახელმწიფოს აგრესიული დამოკიდებულება ალბანეთის სამეფოსა და ეკლესიის მიმართ. რის შედეგადაც განადგურებულია ალბანური ეპიგრაფიკა, დამწერლობა და სომხურადაა გადაკეთებული ეკლესიის ნანგრევები. იგი მიუთითებს, რომ ევქიმიანინმა, ადრეული ხანიდან, ასევე გამოიჩინა აგრესია და ექსპანსია ქართული ეკლესიების მიმართაც, უსაფუძვლო პრეტენზიებს კი დღემდე აგრძელებს. საყურადღებოა ერემიანის აზრი ქართული ეკლესიის შესახებ ადრეულ ხანაში: ქართული ეკლესია ოდითგანვე იყო თვითმყოფადი და სომხურ ეკლესიაზე დამოკიდებული არ ყოფილა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ს. ერემიანის მიერ აღდგენილი „აშხარაცუიცი“ რუ-

ნატო ყრუაშვილი

შინე იყოს აღა სულთანოვი

(სონია სადათიერაშვილისაგან გავონილი)

გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობდა ბაქოელი აღა სულთანოვი. მაშინ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება, რატომღაც, აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობდა და, ალბათ, ეს აღა სულთანოვის დამსახურებაც იყო, მაგრამ 1937 წლიდან, როდესაც რაიონს ხელმძღვანელად გიორგი კირვალიძე მოუვლინა, მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. კირვალიძემ გადახედა თავის სამსყსოს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადგილობრივი მუსულმანები, რომლებიც რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, „აზერბაიჯანელები“, „თათრები“ თუ „თურქები“ კი არ იყვნენ, როგორც მათ რაცხავდნენ ზოგიერთები, არამედ, – XVII-XVIII საუკუნეებში იძულებითი გამაჰმადიანებული მესხების შთამომავალი, რომელთაც შესანიშნავად ახსოვდათ თავიანთი წინაპრების ქართული გვარსახელები. მაჰმადიანი მესხების იდენტობის დადგენის მიზნით გიორგი კირვალიძემ ორჯერ ჩაატარა რაიონის მოსახლეობის აღწერა: 1939 წლის აღწერის შედეგად, 20 სოფელი გადაყვანილი იქნა ქართულ სწავლებაზე, 1943 წლის აღწერის შემდეგ კი – რაიონის ყველა დასახლებული პუნქტი.

სწავლობდნენ ადგილობრივ მაჰმადიანთა – ბლიაძეების, ჭუტაძეების, მეფურნიშვილების, ურბანიძეების, ყაყუნაშვილების, ნულუკიძეების შვილები. ორი გოგონას სახელი ახლაც მასსოვს: ერთს ერქვა ფაშაბულა (თურქ. ბამბა. ის მართლაც ბამბასავით თეთრი იყო), მეორის სახელი იყო პალი (თაფლი). იმავე წლის 15 ნოემბერს ისინიც გაასახლეს შუა აზიაში.

დავებრუნდეთ აღა სულთანოვს. ამ კაცს არავალითი კეთილი კვალ არ დაუტოვებია ცხოვრებაში, სამაგიეროდ, ავკაცობისკენ იყო მიდრეკილი, ამავდროულად ძალიან ბოროტი და ამორალური ყოფის ადამიანიც იყო. თუ რომელიმე ქალბატონი მოეწონებოდა, მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო. რაბათელ გოგოსაც დაადგა თვალი, რომელიც მაღაზიაში მუშაობდა გამყიდველად და, ერთ დღეს, საღამოს წ საათისთვის, თავის კაბინეტში დაიბარა. ქალიშვილმა გაიკვირა, რატომ უნდა მიბრუნდეს რაიონის თავკაცი, თანაც, ასე გვიან, თავისთანო. სხვა რა გზა ჰქონდა, ეახლა მბრძანებელს და უდროოდ დროს დაბარების მიზეზი ჰკითხა. აღა სულთანოვმა განუცხადა თავისი განაზრახვა და თან დაემუქრა, თუ უარს ეტყოდა, სამუშაოდან გაათავისუფლებდა. ქალიშვილი სასტიკ უარზე დადგა და მორალისაკენ მოუწოდა, – მამისტოლა კაცი ხარ და ასეთ რამეს როგორ კადრუ-

ლობ, შეგიძლია მომხსნათ სამუშაოდანო. პირში ჩალაგამოვლებულ სულთანოვს აღარ გაუთავისუფლებია ქალიშვილი, – ნადიო, – დაბალი ხმით უთხრა, მხოლოდ.

ამ პატარა ეპიზოდს არაფერი შეუცვლია აღა სულთანოვის ცხოვრებაში. ის ძველებურად თავაშვებული იყო, მაგრამ ლაგაზის ამოღებას ვერაფერზე შედეგად.

და აი, გამოჩნდა მამაცი კაცი – ახალციხის სასაზღვრო ნაწილის უფროსი ტულუმი (სახელს ვერ ვიხსენებ), რომელსაც ბინად დაკავებული ჰქონდა ოფიცერთა სახლის (ამჟამად გუბერნიის შენობა) მოპირდაპირე მხარეს მდებარე კუთხის სახლი (ახლა აქ ერთ-ერთი საბანკო დანსებულება განთავსებული). სხვათაშორის, 60-იან წლებში, აქ ცხოვრობდა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შალვა გრძელიშვილიც.

სასაზღვრო ნაწილის უფროსმა განიზრახა აღა სულთანოვის ფიზიკური ლიკვიდაცია. ამ მიზნით მან საკუთარ სახლში მოაწყო ბანკეტი, რომელზეც დაპატიჟა რაიონის ხელმძღვანელობა და, რა თქმა უნდა, თვით აღა სულთანოვიც.

ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ტულუმი თვალს არ აშორებდა აღა სულთანოვს და მის გვერდით მჯდომ ღამაზე ქალბატონს ცოტა ხნის შემდეგ მან გარეთ გასვლა მოისურვა და, რომ დაბრუნდა, სულთანოვი და მისი პარტნიორი ქალი აღარ დახვდათ

ადგილზე. ტულუმმა სახლის ყველა კუთხე-კუთხეული შემოიხედა და, ბოლოს, ერთ კარჩაკეტილ ოთახთან შეჩერდა, საიდანაც ქალისა და მამაკაცის ჩურჩული შემოესმა. მან ნიხლით შეაფარა კარები. ქალი ნიხლით გადამევა ფანჯრიდან, სამგზის ნატყვიარი აღა სულთანოვი კი სისხლში მოისვარა.

მესაზღვრეთა ნაწილის უფროსს არ დაუშალავს ჩადენილი დანაშაული, იგი თავისი ფეხით მივიდა მილიციაში და ყველაფერი უამბო უფროსს, მომხდარის შესახებ. ტულუმი არ დაუსჯიათ, ის გადაიყვანეს აჭარის ზონაში ანალოგიურ თანამდებობაზე.

აღა სულთანოვი, როგორც რაიკომის პირველი მდივანი, დიდი პატივით დაკრძალეს ახალციხის ე.წ. „ხასბალში“, დღევანდელი „კულტურისა და დასვენების მთავარი პარკის“ ტერიტორიაზე, სახელმწიფო თეატრის მარჯვენა მხარეს, მაგრამ მალე გაიკვდა, რომ ეს კაცი თურმე, თურქეთის აგენტი ყოფილა.

ასეთ დანაშაულს, როგორის ტულუმმა ჩადინა, ცხადია, არავის არ პატიობენ – არც ცოცხალს და არც მკვდარს. კარგი არ ელოდა აღა სულთანოვის ჯაჭვმეორეულ საფლავსაც, მაგრამ „დაასწრეს“ მისიანებმა და ეს „ლალატიანი“ კაცი ბაქოში წაასვენეს...

ვაჟა სამონიძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ხელმწიფის ჰყავდა ცხენების მრავალი ჯოგი. ამ ცხენების ჯოგისაგან გამოირჩეოდა ერთ-ერთი — თეთრი ცხენი. თეთრი ცხენი ყოველი კვირის შობის პერიოდში, გაფრინდებოდა სხვა ქვეყანაში და იქ შობავდა კვიცს. აი სწორედ იმ პერიოდში, როცა უნდა ემობა მეორმოცე კვიცი, მაშინ ხელმწიფის სამივე შვილი, საკმაოდ მოზრდელი იყვნენ, ამიტომ ხელმწიფემ დაიბარა ისინი და უთხრა: „შვილებო არ შეიძლება ჩვენმა ცხენმა მეორმოცე კვიცი შობოს სხვა ქვეყანაში და ამიტომ მისი დაკავება ჩვენს სახელმწიფოში საჭიროა“.

ხელმწიფის ვაჟებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს: უფროსი ძმა დამდგარიყო საჯინბოს კარებში, შუათანა ძმა ერთ ფანჯარასთან და პატარა ძმა მეორე ფანჯარასთან. დაიწყეს ძმებმა ცხენის ყარაულობა. გვიანდამდგინებდნენ დღე და ცხენს მოუვიდა მშობიარობის დღე. ეცა კედელს, უნდოდა მიეღოს ძალით გაეწვრილა კედელი, მაგრამ რაკი ვერ შესძლო კედლის განგრევა, ეცა კარებს. აქაც სიმარგრე დახვდა. ეცა ფანჯარას, სადაც შუათანა ძმა იყო, მაგრამ აქაც სიმარგრე დახვდა, ეცა მეორე ფანჯარას, აქეთაც სიმარგრე დახვდა, მაგრამ რადგანაც სუსტი და პატარა იყო, უმცროსი ძმა, გადაახტა მას და გაიქცა. დაღონდნენ ძმები, დაიწყეს თათბირი თუ რაფერ მოქცეულიყვნენ. გადამწყვიტეს, მოეძებნათ ცხენი ყოველ მიზეზ გარეშე. შეისხეს იარაღი, აიღეს სანოვანა, შეჯდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს, ბევრი იარეს, გადმოარეს ორფოლის მთები, გადმოარეს ორფოლის მინდვრები, მოვიდნენ რუსთავის ზხაჯვარედინზე და გაჩერდნენ. ხედავენ ძმები, ერთი გზა, გზატკეცილის, მიდის ახალციხის მიმართულებით, მეორე გზატკეცილი მიდის ვარძიის მიმართულებით, მესამე გზატკეცილი მიდის ჩახრუსხის მიმართულებით. ითათბირეს ვაჟებმა, ითათბირეს და, ბოლოს, ამ თათბირში დაუღამდათ. გადამწყვიტეს ერთ-ერთი ამოერჩიათ ლამის ყარაულად. არჩევანი შეხვდა უფროს ძმას. უმცროსი და შუათანას კი უნდა დაეძინათ. უფროს ძმას ლეიძავს, ესმის გრილის ხმა. ხედავს მოეღვარე ღრუბლებს. ანთებული კოცონით ანათებს ცა. შიშისაგან მიდის უფროსი ძმა და ძმებს შუა იძინებს. გათენდა დილა. გამოეღვიძათ ძმებს. ჰკითხეს, რა ნახე შენს ყარაულობაშიო. იგი მიხვდა უმაღლეს. შემდეგ მეორე, მომდევნო სალაშოს მოუწევს მეორე ძმას ყარაულობა. ასეთივე მდგომარეობა განმეორდება. მესამე დამეს მოუწია ყარაულობა პატარა ძმას. ხედავს პატარა ძმა როგორ გამოანათა ცამ, უეცრად როგორ ჩამობნდა, როგორი გრიგალი ამოვარდა და იგი რწმუნდება, აქ საშიშროება მოგველოდა და მოიმარჯვებს მშვილდისარს და ისერის. გათენდა. გამოეღვიძათ ძმებს. ჰკითხეს, რა გადაგხდაო. ძმებს მოუყვა ყველაფერი, რაც კი შეეძინა და გაიყვანა იმ მიმდროში, საცა ისროლა ისარი. ნახეს ძმებმა თავიანთი ცხენის ფაფარი თეთრზე თეთრი. მაშინ გადასწყვიტეს, ნამდვილად ჩვენი ცხენია ნახული ჩახრუსხის მიმართულებით, მაგრამ უმცროსი და შუათანა ძმა ვერ დაიყოლია. მათ გადაწყვიტეს ნასულიყვნენ ახალციხის და ვარძიის მიმართულებით. მხოლოდ პატარა ძმა გაუდგა ჩახრუსხის მიმართულებით გზას. მათ დატოვეს წერილობით ბარათი, ვინც კი ადრე დაბრუნდებოდა, ადენიშნა ბარათზე. დაემშვიდობნენ ძმები ერთმანეთს და გაუდგნენ გზას. იარა უფროსმა ძმამ, იარა, ბევრი თუ ცოტა და მივიდა ახალციხეში. დადის ქუჩებში, ეძებს უმცროსი ბინას. ამ დროს მოდის გადმოსწორებული მსხვილი ბატონი. გამარჯობა ბატონიშვილოო, ეუბნება. ვიცი, რომ ბინა არ გაქვს, ამ სალაშოს ნამოძახანდი, მოისვენე, ვისაუბროთ, ვისაამოვნოთ და ხვალ შენ გზას გაუდგები შენი გზითო. დასთანხმდა ხელმწიფის შვილი. გაჰყვა სახლში, ისაუბრეს ჭამეს და ბოლოს კი ბატონმა მისცა ერთი შეკვეთა სანაძლეოსი. შევიდნენ ეს ორი ნაძლევი და იწყეს თამაში. თამაშის დაწყების ნიშნად დაატყვიან ანთებული სანთელი. მიმდინარეობს თამაში, მაგრამ კატას სანთელი არ უფარდება. ითამაშეს მესამე ხელი და ნაკებული დარჩა მეფის შვილი. მხოლოდ მათ პირობა ჰქონდა დადებულთ, ვინც კი ნაკებდა, უნდა გაეშვიშებინათ და პანდური ექრა და მეორე სართულიდან ესროლიათ. ასეც მოიქცა ბატონი. მთლად გააშვილა, ჩამოხსნა იარაღი და ამოარტყა ფეხი და გადაადგო მეორე სართულიდან რა ქნას ამ შიშველმა ვაჟმა. იარა, იარა და მონახა ერთი მცხოვრებლის სახლი, იატაკს ქვეშ და გაყურდა. მოდის ღამე სახლის პატრონი და ხედავს მოეღვარე, რაღაცა საგანს. შემინდა და უკან დაიხია. ამიტომ აიღო ქვა და დაუწყო სროლა. იატაკქვეშედან დაიძახა ხელმწიფის შვილმა, ნუ მკლავ, ადამიანი ვარ მეცოლა. სახლის პატრონმა უთხრა, გამოვიდა და რას ხედავს, მითლად მიშველ კაცს. გამოკითხავს ყველაფერს, რაც კი გადახდა მას და ჩააცვა ტანსაცმელი. მეორე დღეს ღორების ჯოგი გაატანა სამწყემსავად ხელმწიფის უფროსს შვილს. გადის დრო და მწყემსავს ეს ღორებს. საშუალო ძმა კი იცვლის მიმართულებას და უფროსი ძმის მიმართულებით მიდის. საშუალო ძმაც მოყვა ახალციხეში, მასაც დახვდა იგივე ბატონი, იგივე მდგომარეობა დაემართა და შექმნა შიშველი ფურნები. მეორე დღეს მო-

ვიდა მეფურენი, ნახა ფურნები შიშველი კაცი. გამოიყვანა, ჩააცვა ტანსაცმელი და წყლის მზიდავად აიყვანა. დიდი ვედროები მისცა თავისი ჭაკულაით და აზიდინებდა წყალს. დაუბრუნდეთ უმცროს ძმას. იარა უმცროსმა ძმამ, იარა და გაიარა სოფელი პატარაშენი, გაიარა მუსხის მთები, გაიარა სოფელი ფულა, გაიარა მთა ჩახრუსხი. გადაიარა მრავალი მთები. ამ პერიოდში ამოიღებდა მისმა ცხენმა ადამიანისმავარი ენა და უთხრა: „ამ მთასაც რომ გავივლით, ჩვენ შევხვდებით სამთავიან დევს. ეს სამთავიანი დევი არის ბაყბაყდვის შვილი. ნუ შემიხედები, რაც მთავარია, იმიშველ ხმალი. ჩემი დანხარებით ადვილი იქნება მისი მოკვლა. ნახეს მართლაც მომავალი ურელები დევი.“

ბიჭი თითქოს შეშინდა. ცხენმა მას გულის-გასამარებელი სიტყვა უთხრა და შეებრძოლა დევის. ბევრი იბრძოლეს, დევი მოიქცეს ბიჭს, დაფლავს კოჭბამდის მიწაში. ბიჭი მოიქცეს მუხლებამდის ფლავს მიწაში. ამ დროს ცხენი დგება უკანა ფეხებზე და ნინაფეხებით ურტყამს და ჰკლავს დევს. ბიჭს ეტყვის, მოსტერი სამივე თავი. მოსტერის ბიჭი სამივე თავს და

თანმიდევრობით. დაეშვა თეთრი ცხენი მიწაზე და რას ხედავს — თავის უნაგირს და მოსართავებს და აბანანაში კიდევ წყლის მაგივრად ღვინოს. დაღვივის მაგივრად ჩაფქურდა. კვიცებმა არ დაუჯერეს და დაუნაფნენ ღვინოს. თეთრმა ცხენმა ვეღარ მოითმონა და დაიძახა: „რომელი ხართ ამ უნაგირის მომტანი, გამოჩნდე, მოდი ჩემთან და დამადგე უნაგირი“, მაგრამ ჩვენი შვილი დარიგებული იყო ცხენისგან, რომ სანამ სამჯერ არ ეტყოდა, არ უნდა გამოჩენილიყო და სწორედ მესამე თქმის შემდეგ გამოჩნდა. ცხენმა იცნო მეფის შვილი: „ოხ, შენ ყოფილხარ, მოდი და დამადგე უნაგირი, შემდეგ შემომაჯექი და როგორც ვინოდეს, ისე წამიყვანე“. ასეც მოიქცა. მივიდა და დაადგა უნაგირი, მოუჭირა მოსართავები, შეჯდა და გაფრინდა ცხენი. მიჰყავს ცაში. უნდა გააკრას ცას. აგერ, ეს აა დაღუპავს. ელოდება, მაგრამ მეფის ვაჟი მთელი სისწრაფით მუცელზე მოექცა. ცხენი ამით რომ ვერაფერს ვერ გახდებდა, დაეშვა მთელი სისწრაფით მიწაზე. ესაა უნდა დასცეს მიწას, რომ მოექცა ისევე ზემოდან. ცხენი ამითაც რომ ვერაფერს ვერ გახდა, ახლა ეტყვის:

თეთრი ცხენი

ზღაპარი



ბოლოს ეტყვის: ჩამოჭერი ყურები და ჩაანყვე აბგამი და გაუდგებიან გზას. იარეს ბევრი და გადაიარეს ირმის რქის მთა. მაშინ ცხენმა უთხრა, აქ კი შევხვდებით ექსთავა დევს, ეს კი არის მისი ძმა სამთავიანი დევის, ის მას-ვე ძლიერია, მაგრამ შენ ნუ გეშინია მისი და-მარცხებაც ადვილია. ნამდვილად ირმის რქის უკანა მხარეს, საშორეო მხარეს ექვსთავიანი დევი იყო. შემოხვდათ დევი და მისი დამარცხებაც შესძლეს. დასჭრეს ყურები და ჩადეს ხურჯინში. იარეს, იარეს და მიადგნენ კოხტა გორას. მაშინ ცხენმა უთხრა: შევხვდებით ცხრა თავიან დევს, იმის დამარცხებაც ძნელია, მაგრამ არ შეშინდე. ნამდვილად კოხტა გორის დასაწყისში შემოხვდათ ცხრათავიანი დევი, რომელიც უმელებელ მთას ჰგავდა. განა ამის დამარცხება ადვილი იყო, მაგრამ მოხერხებულმა ვაჟმა, თავისი ცხენის დახმარებით, შესძლო მისი დამარცხება. ცხრა თავიან დასჭრეს ყველა ყური და ჩაანყვეს ხურჯინში და გაუდგნენ გზას. იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს დაცემული მინდორი, სადაც ცხოვრობდა და დევები დედა, ბაყბაყდვი.

ცხენმა უთხრა ვაჟს: ეხლა რომ გადავალთ, ამ დაცემულ მინდორში შეგვხვდება ამ დევების დედა, ბაყბაყდვი და სწორედ ჩვენი ცხენის ადგილ-სამყოფელი და პატრონი არის ბაყბაყდვი. მისი დამორჩილება ძნელია. მის თამაშს სწორედ ის გასალბე, რომელ სახლშიც მოთავსებულიყვნენ ჩვენი ცხენის ყველა მოსართავი. ამ გასალბების ნართმევისთვის უნდა მიეპარო, ნაავლო უკინდას ხელი და რაც ძალი და ღონე გაქვს, მოქაჩო ძუძუებში და უთხრა, სად არის ჩვენი ცხენის მოსართავები. ასეც მოიქცა მეფის შვილი. გაბრუნდა ბაყბაყდვი, მაგრამ რადგან ვერ დაიხსნა თავი, დაუსწოვნენ: დედამყოლობას, არ ვიცი, დამეხსენ, თორემ მოვლენ ჩემი შვილები და შეგჭამენ. მაგრამ მან იცოდა, რომ მისი შვილები აღარ იყვნენ ცოცხლები. რადგან ვერაფერს გახდნენ, მაშინ იძრო ხმალი და მოჰკვეთა თავი და ეძება მის თამაშს სახლის გასალბე. ბევრი ეძება, რადგან მისი თავი ერთი კალის ოდენა იყო. ბევრი ძმების შემდეგ მოძებნა გასალბე და ნავიდა თავის ცხენთან. ცხენმა უთხრა: საჭიროა ჩვენ ნავილოთ 80 ფუთი ღვინო, 120 ფუთი ბამბა, ეს ყველა მოსართავი ჩვენი ცხენისა და ნავიდეთო. მივიდნენ და გააღეს კარები. ნახეს თავიანთი ცხენის მოსართავები და უნაგირი. გაუდგნენ გზას. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ცხენი სვამდა წყალს. ესე იგი, მტკვრის სათავეზე ამოარეს წყალი ბამბით, ჩაასხეს ღვინო და დაანყეს ცხენის ყველა მოსართავი იმ წყალთან. ცხენმა კი უთხრა: ისეთ ადგილს უნდა დავიმოძოთ, რომ არავინ სულიერი არ იყოსო. თუ შეგვიხმნეს, ცოცხლები ვერ გადავურჩებით ჩვენს ცხენს. დაიმალნენ ისეთ ადგილას, საცა თეთრი ცხენის თვალი ვერ მისწვდებოდა და რას ხედავენ — გამოჩნდა თეთრი ცხენი, მოფრინავს ცაში და მოჰყვება ორომცი კვიცი, გამწკრივებული იხე, როგორც წეროები მისდევენ ერთი მეორეს

შენი მორჩილი მონა ვარ, როგორც გინდა ისე მატარეო. შეჯდა და წამოიყვანა. ცხენს მოყვება ორომცი კვიცი. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ბაყბაყდვი ცხოვრობდა. მეფის შვილმა გახსნა ყველა ის ცხრაკლიტული კარები და რას ხედავს, მთლად ოქროთი და ვერცხლითაა მოჭედული, ხედავს და თვალს არ უჯერებს, ცხრაკლიტული სამი უღამაზესი ქალიშვილია გამოწყვედილი. გაუხარდათ ქალიშვილებს მისი დანახვა და უთხრეს: შენ ცოცხალი ვერ გადურჩები დევებს, ჯობია ნახვიდყო. მამაცმა ვაჟმა მიუგო, რომ დევენი ცოცხლები აღარ არიან და თქვენ დამშვიდებული იყავითო. ახლა კი ჯობია ერთად ნავიდე ჩემს ქვეყანაშიო. გოგონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ. და საპატისაცემოდ არუქეს ოქროს თამბაქოს სამი ყუთი. ვაჟმა თან წამოიყვანა სამივე მზეთუნახავი ქალი, ყველა ცხენი ოქრო-ვერცხლით დატვირთა და გაუდგა გზას. იარეს, ბევრი იარეს, გადმოარეს კოხტა გორა, გადმოიარეს ჩახრუსხი და მოვიდნენ სწორედ იმ ადგილთან, სადაც ძმებს გაშორდა. ხედავს უმცროსი ძმა, რომ მისი არცერთი ძმა არაა დაბრუნებული, ბარათი ისევ ისე დევს, არცერთი სიტყვა არაა დაწერილი. ჩავარდა საგონებელში და გადაწყვიტა, მოქებნოს თავისი ძმები. ხედავს რუსთავის მინდორში გლეხები ხხავენი. ერთ-ერთ გლეხს დაუძახა: „ძმობლო, რამდენი მოგეცე სიმდიდრე, რომ ამ ქალებს უპატრონო“. ასი ოქრო გამოართვა გლეხმა ყველაფრისთვის. მეფის შვილი გზას გაუდგა ახალციხის მიმართულებით, შეხვდა ყანის მხვნილი გლეხები და სთხოვა მისთვის დაეჭირათ სამი თავი. მათ უკუადრისეს და ღანძლა დაუსყეს. მაგრამ მივიდა მასთან მეხრე და სამის მაგიერ დაუჭირა ექვსი თავი. სამი თავი ჩასვა იმ ყუთებში, რომელიც არუქეს მზეთუნახავებმა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ ქალაქში. ფიქრობს, რომელი მიმართულებით ნავიდეს. ამ დროს გამოჩნდა ერთი ჩასუქებული ბატონი და უთხრა ხენმწიფის შვილს: ნამობრძანდი ჩემთან, ვიცი, რომ ბინა არა გაქვს და გავერთოთ, თან ვითამაშებთ, კარგად მოისვენებთ და ხვალ გაუდგები შენს გზასაო.

მივიდნენ მის სახლში, ისაუბრეს, გასტეხეს პური და ამ გაბერილმა ბატონმა მოიგონა სათამაშო, სანაძლეო დავლით, თუ შენ ნაავებ, აქედან გადაგადგებო. ბატონმა კატას ანთებული სანთელი დაატყვიდა და გაავრძელეს თამაში. მეფის ვაჟს მოუწია პაპიროსის მოწევა. ამოიღო თუთუნის ყუთი, ჩუმად ამოიყვანა ერთი თავი და გაუშვა. ამ დროს კატამ დაინახა თავი თუ არა, დაადგო სანთელი და გამოეკიდა. ამ პერიოდში ბატონი დარჩა დამარცხებული. ასევე მოიქცნენ მეორეჯერ და მესამეჯერაც. მეფის შვილმა გაატყვილა ბატონი და გადაადგმო აივნიდან. ბატონი დაეცა თუ არა მიწაზე, მაშინვე სული განუტყევა. მაშინდა დაინახა კედელზე ჩამოიდებული თავისი ძმების იარაღი. მეფის შვილმა მაშინვე გაიფიქრა, ჩემს ძმებს ნამდვილად ეს პედი ენათო. გათენდა დილა. აიღო თავისი ძმების იარაღი. ქალაქის განაპირასაც არ იყო გასუ-

ლი და ხედავს მისკენ მომავალ თავის ძმებს, რომელთაგან ერთს მოჰყავს ღორები, ხოლო მეორეს ჭაკულაზე გადაკიდებული ვედროები. გადაკოცნეს ერთმეორე. გამოჰკითხეს ერთმანეთის ამბები. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. იარეს, იარეს და იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც უმცროს ძმას ჩაბარებული ჰყავდა მზეთუნახავები და თავისი სიმდიდრე. გადაუხდა ასი ოქროს ნაცვულად ორასი ოქრო, შეკაზმეს ოქროებით დატვირთული ცხენები და წამოიყვანეს ქალები და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, გზაში უფროსმა ძმებმა მოითათბირეს: ჩვენი მისვლისთანავე მამარჩენი გაიგებს ამ ამბავს და სასტიკად დაგვჯავს, ამიტომ საჭიროა ჩვენი უმცროსი ძმის თავიანთ მოქმედებაო. მათ მთა უნაგირაზე მოუხდათ შეჩერება, სადაც დალაშქრდნენ. როცა უმცროსმა ძმამ დაიძინა, ძმებმა დაასვეს ხმლები მისი საწოლის ნინ და მორთეს ყვირილი: არიქა, გვიშველეთ, თავს მტრები დაგვესხნენო და ამ ყვირილზე გამოეღვიძა უმცროს ძმას და უცხად წამოვარდა ფეხზე შემინებული, მაგრამ უეცრად წინ დახვდა მინაში ჩასობილი ხმლები და ორივე ფეხი გადაიჭრა. გათენდა დილა თუ არა ძმებმა მიატოვეს ფეხნოკეთილი უმცროსი ძმა და გაუდგნენ გზას. ბევრი იბირა უმცროსი ძმის მზეთუნახავმა ცოლმა, მაგრამ მის ტირილს არავინ მიაქცია ყურადღება.

სახლში დაბრუნებისთანავე მოატყუეს მეფე, თითქოს უმცროსი ძმა ცხენის დასასწავლად იყო.

ამ პერიოდში რაღა ჰქნას ხელმწიფის უმცროსმა ვაჟმა. არც საქმელი აქვს და არც სასმელი. ძალიან შეანუხა ჭრილობებმა, მისი მკურნალობა ხომ შეუძლებელი იყო. რა ხერხს მიმართოს არ იცის. გადის დღეები, ფეხები დაუჩირქდა. ტკივილებისაგან შეწუხებული ფიქრობს, როგორ უშველოს თავს. ამ პერიოდში უეცრად გამოჩნდა ორი მონადირე. მწვეარი ძაღლები მოსდევს კურდღელს და ეს კურდღელი პირდაპირ გადაახტა მწოლიარე ვაჟს. მან ამ დროს სტაცა კურდღელს ხელი და დაიჭირა. მონადირეებმა რომ დაინახეს მეფის შვილი, ძალიან გაუკვირდათ და გამოჰკითხეს ყველაფერი თავის შესახებ. ისიც ყველაფერს მოუყვა, რაც თავს გადახდა. მონადირეებმა სახელდახლოდ გაკეთებულ საკაცზე დაანვინეს და თავის სახლში წაიყვანეს, შეუხვეს ნელნელად, თვითონ კი ნადირობა გააგრძელეს. გადის დრო და მეფის შვილს არაფერი არ უშველია. მინადირებენ კი ზინა და ფიქრობენ, როგორ უშველონ მეფის შვილს. ამ დროს წყაროსთან აჩქარებული ნაბიჯით მოდის ორი მამაკაცი. მონადირეებმა უთხრეს, სად მიიქაჩებიანო? მათ უპასუხეს, რომ ჩახრუსხელი ბატონის ძმისთვის შედუღუკეების მოსაყვანად მიდიოდნენ, რადგან მისი შვილის ქორწილი იყო. მონადირეებმა უთხრეს, რად გინდათ სხვაგან სიარული, ჩვენ ვართ ყველაზე კარგი დამკურნელებიო. მართლად დასთანხმდნენ და ჩახრუსხელი ბატონის ძმასთან წაიყვანეს. მონადირეებს სხვა მიზანი ჰქონდათ. მათ უნდოდათ საპატარძლოს მოტაცება. ეს კი ისეთი საპატარძლო იყო, რომელსაც შეეძლო ყოველგვარი დაჭრილისა და ავადმყოფის განკურნება. ასეც მოხდა. საპატარძლო შემინებული იყო ამ მდგომარეობით, ეგონა ბოროტი განზრახვით მოიტაცეს, მაგრამ მონადირეებმა უთხრეს, ჩვენ ბოროტი განზრახვა არ გვაქვს, ფეხნოკეთილი ძმის მოსარჩენად წამოვიყვანეთო. მართვ ვერც ქალმა უშველა მეფის შვილს. ერთ სალაშოს ქალს დაეისზმრა, რომ 8 ყვად მოარჩინდა მას. მოუყვა ძმებს თავისი სიზმარი. მონადირეები ნავიდნენ ყვავების დასაჭერად. მოიყვანეს ყვავები და ფეხები არტყნებო შეუხვეს. გავიდა რამდენიმე დღე და ხედავენ ყვავები თანდინათობით სცოლებიან.

მეორე დღეს ხელმწიფის შვილს ფეხები გამოება. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სიხარულით დაიწყეს ლხინი, ცეკვა და საპატარძლო უთხრა მონადირეებს: ძმებო, რადგან ჩემ ქორწილში არ მიცეკვიო, მითამაშა, ეხლა უნდა ვიცეკვო და ვითამაშო, დაუკარიო. ითამაშეს და შემდეგ მონადირეებმა ისევ წაიყვანეს საპატარძლო სოფელ პატარაშენში და დაუბრუნეს კოდიან ბატონის ძმისშვილს. ამის შემდეგ მეფის შვილმა წაიყვანა თავის ქვეყანაში მონადირეები, როგორც ძმადნაფიცები.

იარეს ცოტა თუ ბევრი, მივიდნენ თავის სამეფოში. ხელმწიფის გაცოცხალს საზღვარი არ ჰქონდა. მეფის თავისმა შვილმა უამბო თუ რა ბოროტება ჩაიდინეს საკუთარმა ძმებმა, უამბო თავის თავგადასავლის შესახებ ყველაფერი. მონადირეები ძმებად გამოაცხადდა, ხოლო ნამდვილი ძმები მოაბეს ცხენებს, ის ორი მზეთუნახავი ქალიშვილი, რომელიც ჰყავდა ხელმწიფის რა ვაჟს, მითხოვეს მონადირეებს, ხელმწიფემ კი დიდი ქორწილი გადაუხდა. ქორწილი ორომცე დღეს გაგრძელდა. იმხიარულეს, მეც იქ ვიყავი და იქიდან მოვედი და გაიყვებო ამ ამბავს.

სუთი ვაშლი ჩამოვარდა, ერთი მთქმელს, ერთი დაშენრს და სამი მსმენელს.

ჩამწერი მ. კოჭლავაშვილი, მთქმელი შოთა ზაღონიძე, სოფელი ზეული, 1965 წელი. ოსუ ფა N 3972-3973

ნოვადი ბართია

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2012 წელს, დოქტორ ფაიზე ზოჰრა მირზას რედაქტორობით, გამოქვეყნდა მირზა ხოსრო ბეგ გორჯის მიერ შედგენილი მისი თანამედროვე სპარსული პოეზიის ანთოლოგია „ხოსროს სასინჯი ქვა“.

კრებულს დართული აქვს საინტერესო გამოკვლევა მირზა ხოსრო ბეგ გორჯის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ.

აი, რას ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში მირზა ხოსრო ბეგ გორჯის შესახებ:

მირზა ხოსრო ბეგ გორჯი დაიბადა თბილისში 1790 წელს. მისი თავდაპირველი სახელი იყო ხოსრო-ხანი.

მირზა ხოსრო ბეგ გორჯის მამა ყოფილა ალექსანდრე-ხანი (ერეკლე II ნ.ბ.), მაგრამ სხვა მონაცემებით, მირზას მამად გორგინ-ხან XII (გიორგი XII ნ.ბ.) მიიჩნევა, რომელიც უფროსი შვილი ყოფილა საქართველოს ვალის ალექსანდრე-ხანის, რომლის სიკვდილის მერე იგი ასულა მის ტახტზე.

1797 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, მირზა ხოსრო ბეგ გორჯი შვიდი წლისა ყოფილა, რომელიც თავისი ძმასთან, ჰომაიუნ-ხანთან ერთად, ირანელთა ჯარში ტყვედ ჩაგარდნილა.

.ჰომაიუნ-ხანი, ავადმყოფობის გამო,

ტყვეობაში გარდაცვლილა, ხოსრო ხანი კი, ჰაჯი იბრაჰიმ ხანს, რომელიც მეთაურობდა ირანელთა ჯარს, თავის მფარველობის ქვეშ აუყვანია. ხოსროსაც რამდენიმე წელი თეირანში მასთან უცხოვრია. ჰაჯი იბრაჰიმის გარდაცვალების შემდეგ, იგი, მის ოჯახთან ერთად, გადასულა შირაზში, სადაც სწავლა-განათლებილად აუყვანია.

ქართველთა ნაკვალევზე

ბა მიუღია.

მომხდარა ისე, რომ, სინდის ემირ მირ ქარამ ალი-ხანს, ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, ახუნდი ესმაილი, დიდი საჩუქრებით, ირანში, ფათალიშაჰის კარზე გაუგზავნია ელჩად.

ვინაიდან მირ ქარამ ალი-ხანი უშვილო ყოფილა, ელჩისთვის დაუბარებია, რომ მისთვის ირანიდან ერთი ბიჭი – ირანელი ან ქართველი ჩამოეყვანა. მასაც ემირის დავალება შეუსრულებია და 15 წლის მირზა ხოსრო ბეგზე შეუჩერებია არჩევანი, რომელიც ჩაუყვანია სინდში.

მირზა ხოსრო ბეგი ყოფილა პირველი ქართველი, რომელიც მოხვედრილა სინდში. იგი მიუყვანიათ მირ ქარამ ალი-ხან თაღფურისთან, რომელსაც ყმანელი

შვილად აუყვანია. მას მერე სინდში, მირ ქარამ ალი-ხანის კარზე კიდევ ოთხი ქართველი ჩაუყვანიათ, ესენი არიან: მირზა მუჰამად ბაყერი, მირზა ყორბან ალი ბეგი, მირზა როსთამი და მირზა ფერეიდუნ ბეგი.

მირზა ხოსრო ბეგს ემირთა კარზე საყოველთაო აღიარება მიუპოვებია და

უმალესი თანამდებობის პირი გამხდარა. იგი ყოფილა ძალიან განათლებული პიროვნება, შემოქმედი, მეცნიერი, ცნობილი სპარსულენოვანი პოეტი.

ფაეზე ზოჰრას უტვირთია მეტად შრომატევადი საქმე და მეცნიერულად გამოუცია თავისი დიდი ნაწარმის მიერ შედგენილი იმდროინდელ სპარსულენოვან პოეტთა ანთოლოგია, რომლის შედგენაც მისთვის, როგორც მაღალი გემოვნების მქონე პირისთვის, ემირს დაუვალებია.

სახელოვან მირზა ხოსრო ბეგ გორჯის ასევე სახელოვანი შვილიშვილი ჰყოლია – შამს ოლ-ოლამა მირზა ყალიბ ბეგი (1853-1929), რომელიც პაკისტანში ითვლება დიდ განმანათლებლად. მირზა ყა-

ლიბ ბეგის სინდის ლიტერატურის არქიტექტორს უწოდებენ. აღმოსავლელი პოეტებიდან მას ადარებენ საადის, ხოლო დასავლელი მხატვრული სიტყვის ოსტატიდან – შექსპირს. იგი ფლობდა სინდის, სპარსულს, არაბულს, თურქულს, ურდუს, ინგლისურს, სანსკრიტს და სხვა ენებს. მას შეუდგენია ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პოეტთა კრებული „გორჯინამე“ („ქართული წიგნი“).

მირზა ყალიბ ბეგი შთაგონების წყარო გამხდარა დოქტორ მუჰამად ჰოსეინ თასბიჰისათვის, რომელსაც მისთვის სპარსულად მიუძღვნია ბიოგრაფიული ხასიათის პოემა – „ყალიბ-ნამე“ („ყალიბის წიგნი“), რომელიც გამოცემულია თეირანში 2009 წელს.

შამს ოლ-ოლამა მირზა ყალიბ ბეგს 2009 წელს პაკისტანში მიეძღვნა საერთაშორისო კონგრესი.

ის, ვინც დაჰყვება ქართველთა ნაკვალევს უცხოეთში, აღნიშნული წიგნი მისთვის უთუოდ ბევრი საახლის შემცველი იქნება.

P. S.

ფაეზე მირზა ვაეცანი თეირანში 2012 წელს ფაჯრის (განთიადის) პოეზიის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალზე. იგი ამჟამად თავისი ქართველობით და წარმატებით იკვლევს მათ ნაკვალევს ირანში.

ქველი გაზეთიდან

ახალციხელ ქართველ ეპრატელთა ურობა საქართველოს გაერთიანებისათვის

მესხურ-ჯავახური ისტორიული წყაროებით ვიცით, რომ ასპინძის ომის დროს, მეფე ერეკლეს არამც თუ მარტო ახალციხის და ახალქალაქის, ქართველ კათოლიკეთ ქვესა კაცები ეხმარებოდნენ და დახმარებას აძლევდნენ, როგორც ცნობების მიცემით, ისევე სურსათით.

არამედ ამ ქართველ კათოლიკე ქვესა კაცებს, გარდა მეფე ერეკლეს და მის მხედრობას, დიდს ქომაგარს და მეგობრობას უწევდნენ ახალციხელი ქართველი ურიები. ესენი მეფე ერეკლეს საიდუმლოთ ოსმალთა ჯარის ცნობებსაც უზიდავდნენ და თავიანთ შეძლების და გვარათ მხედრობის სურსათს აწვდიდნენ ჩუმად. ყველა ამას ესენი ახერხებდნენ სანვრიშალოს ტარებით.

მეფე ერეკლეც რასაკვირველია ახალციხელ ურიებს დიდათ პატივს სცემდა და საჩუქრებსაც აძლევდა, რადგანაც მეფე ერეკლე ცხადით იყო დარწმუნებული მასზედ, რომ ქართველ ურიებს უადრესათ სურდათ საქართველოს გაძლიერება, ოსმალთაგან ყველა იმ ადგილების ჩამოცლა – წართმევა და საქართველოსთან შემოერთება, რაც კი ოსმალთ ქართველთათვის ადრე წაერთმიათ. ასეთი ნატურის იყვნენ მაშინ ქართველი ურიები, მიტომაც შევლოდნენ იგინი ოსტატურად მეფე ერეკლეს ასპინძის ომის დროს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა და ურიებისაც, მათი ნატურა ვერ შესრულდა. ასპინძის ომი გათავდა მით, რომ მეფე ერეკლემ ოსმალებს აწყვერის აქეთ ფეხი არ შემოადგმევინა.

ქართველი ურიები ამისთვის დანაღვლიანდნენ და ამათ არც მერე მოსეს მეფე ერეკლესთან წასვლა მოსვლა, ესენი ვაჭრობით და ალბე მიცემის საქმისთვის თფილისში გადმოდიოდნენ ხშირათ, თან მოჰქონდათ სხვა და სხვა საქონელი, ზოგი ოსმალური და ზოგი ევროპული საქონელი. თფილისში რჩებოდნენ ამ საქონლის ვაჭრობით რამდენსამე ხანსა და



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან

ხშირათ მეფე ერეკლესაც ეახლებოდნენ და თან მართმევდნენ სხვა და სხვა ევროპულს და ამავე დროს უამბობდნენ ოსმალთა ჯარის ცნობებს, თუ მეფეც დაავალბდა მათ რასმე საქმეს, მაგალითებს ახალციხისკენ რამე ამბების, ან წერილების წაღების, ამასაც კისრულობდნენ იგინი დიდის პატივის ცემით.

ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ ურიებს მეფე ერეკლესთან და ამათს ინტერესს სულ ის შეადგენდა, რომ მეფე ერეკლეს როდისმე ხმალი აეღო და საქართველოს ყველა წართმეული ადგილები ოსმალთაგან ჩამოერთვა და უკან დაებრუნებინა, საქართველოსთან შეერთებინა.

მაინც ურიებს ეს ნატურა ვერ შეუსრულდათ და 1797 წ. (!) მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მის შემდეგ ქართველ

ურიებსაც გული გაუტყდათ დიდათ, რომ ქართველებს გმირი მეფე მოუკვდათ და მისი მსგავსი საქართველოში აღარ იყო. ურიები თუმც ასეთი მომდურავნი იყვნენ საქართველოს ბედის, იგინი მაინც გულს არ იტყვენ და საქართველოს გაძლიერებას ყოველთვის დიდათ ნატრობდნენ. ეს უტყუარი ამბავი გახლავსთ. ამასვე ასრულებს შემდეგი ამბავი.

1828 წ. რუს-ოსმალთა ომი რომ დაიწყო და რუსეთის მხედრობა ქართველებით ახალციხეს რომ მოადგა გარს ასაღებათ, ეს ამბავი ქართველ ურიებს დიდათ ესიაშოვნათ და ინატრეს საქართველოს ხალხის გათავისუფლება, ამისთვის მათ სალოცავშიაც მისცეს და მერე დაადგინეს, რომ უსათუოდ ჩვენ ამ ომში უნდა დავეხმაროთ რუსის მხედრობას, რომ

ეგები მისის ძალით ჩვენ გვეღირსოს საქართველოს ხალხთან შეერთება და მეფე ერეკლეს ნატურის შესრულებაცო.

ურიებმა თვისი პირობა მტკიცეთ შეინახეს, ომში რუსის მხედრობას დიდათ გაუჭირდა, კინალამ დამარცხდნენ და ამ დროს მათ არც ის იცოდნენ, თუ ოსმალეთს შიგ ახალციხეში რამდენი ძალა ჰქონდა, რამდენი ჯარი, რამდენი იარაღი და სხვაც ბევრი ასეთი. ეს გარემოება ქართველ ურიებს თურმე კარგათ შეეწყოთ, ამიტომ მათ ისურვეს ამისთვის დახმარების მიცემა, მაგრამ რა გზით და რა ხერხით? ახალციხეს გარს გალავანი ეკრა, კარები დაკეტილი იყო, გალავანს გარე არავინ გაუშვებდნენ. ამ გვარათ იყო საქმე ოსმალთაგან მოწყობილი.

ქართველ ურიებს თავიანთი სასაფლაო, ანუ შეთხანიკი ქალაქის გალავანს გარეთ ჰქონდათ. ამიტომაც ერთი ქართველი ურია განგებ მოკვდა, მერე ამ ტყუილათ მომკვდარის დასაფლავების მოწყობა აიღეს, მესამე დღეს ეს ურია კუბოთი გაასვენეს სასაფლაოზედ და დაასაფლავეს, რა საკვირველია ისე ოსტატურათ, რომ ტყუილათ მომკვდარს საფლავში არ ევნო რამე. დასაფლავების შემდეგ, როცა ხალხი დაიშალა და უკან დაბრუნდა, ეს ურია საფლავიდან ამოძვრა, მალე რუსეთის მხედრობასთან მივიდა და ჯარის მთავარ მართვეს ყველაფერი ცნობები გადასცა, თუ ოსმალებს რა ძალა, ჯარი და საომარი იარაღი ჰქონდათ კიდევ ახალციხეში დარჩენილი. ამ ცნობებით ისარგებლეს, ჯარი გაამარგეს და მიტომ მის შემდეგ ახალციხეც იქმნა აღებული, მისთვისაც ქართველ ურიებმაც ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ მათ ეღირსათ საქართველოსთან შეერთება.

ზ.ჭ.

გაზ. „მესხეთი“, კვირა, 6 მკათათვე, 1919 წელი, N3

მიხეილ ბახტაძე

გაგრძელება.
დასაწყ. იხ. NN 9-10-11

ჩვენ იმ თვალსაზრისის ვიზი-
არებთ, რომ მეფეთ-მეფე როგორც
ტიტული, რომელიც მემკვიდრეობით
დამკვიდრდა ბაგრატიონთა საგვარე-
ულობა და შემდეგ ყველა მეფის ტი-
ტულატურის განუყოფელი ნაწილი
გახდა, პირველად გურგენმა მიიღო.
მით უმეტეს, რომ მიზეზიც ნათლად
აქვს ახსნილი სუმბატ დავითის ძეს –
„ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე
ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და
ამისთვის გურგენს მეფეთ-მეფობა
ენოდა.“ ამ შემთხვევაში სრულიად
გასაგებია თუ რამ გამოიწვია ახალი
ტიტულის გაჩენა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში
ოთხი პიროვნება იწოდებოდა
მამფლად. გუარამ აშოტის ძე (+ 882
წელს), სუმბატ ადარნასეს ძე (+889)
და მისი ძეები ბაგრატი (+906) და და-
ვითი (+946).

შ.ბაღრაძის აზრით, „გამორიცხუ-
ლი არაა, რომ მამფლობა ქართველთა
სახელმწიფოს „აბსოლუტისგან“
დამოუკიდებლობისა და ავტონომი-
ური „მთავრობისკენ“ მისწრაფების
გამომხატველი იყო წინააღმდეგ
„ერისთავობისა“ და „ერისთავთერის-
თავობისა“, რომელიც „აბსოლუტი-
სადმი“ დაქვემდებარებულ სამოხე-
ლო თანამდებობებს წარმოადგენდ-
ნენ.“ ტიტულ „მამფალის“ პირველი
მფლობელი აშოტ კურაპალატის
უმცროსი ძე გუარამი იყო. ამიტომ,

სისტემისათვის.

„მამფლის“ ნაცვლად გაჩნდა ორი
ახალი ტიტული: „ერისთავთერისთა-
ვი“ და „ერისთავი“.

სავარაუდოდ პირველად ერის-
თავთერისთავის ტიტული აშოტ
კუხმა მიიღო. 891 წელს მამის გურ-
გენ კურაპალატის გარდაცვალების
დროს ის უკვე ამ ტიტულით ყავს
მოსხენიებული მემკვიდრის – „და მო-
კუდა წყლულებითა მისითა გურგენ
კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა
აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ“ი“. და
დაუტყვენა ორნი ძენი: ადარნასე და
აშოტ ერისთავთერისთავი“. აშოტს
ერისთავთერისთავობა 888-891
წლებში უნდა მიეღო. 918 წელს აშოტ
კუხი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა.

როდესაც ბაგრატიონთა მემკ-
ვიანე 896 წელს აშოტ კუხის ძისა,
ადარნასეს გარდაცვალებაზე წერს,
აღნიშნავს: „გარდაიცვალა [ადარნა-
სე] ქრონიკონსა რ“ი“, და დაუტყვენა
ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთა-
ვთერისთავი და გურგენ, რომელი
შემდგომად, მერმე, დიდი ერისთა-
ვთერისთავი იყო“. დავითი 908 წელს
გარდაიცვალა და ერისთავთერის-
თავობა მის ძმასზე – გურგენს დიდზე
გადავიდა. როდის მიიღო დავითმა
ერისთავთერისთავობა, უცნობია,
ალბათ, სავარაუდოდ, 896 წელს, მა-
მის გარდაცვალების შემდეგ. საინ-
ტერესოა, რომ როცა ბაგრატიონთა
მეისტორიე 908 წელს დავითის გარ-
დაცვალებაზე საუბრობს, მას მხო-
ლოდ ერისთავობით მოიხსენიებს.
ძველად წარმოსადგენია, რომ და-
ვითი ჯერ ერისთავთერისთავი ყო-
ფილიყო და მერე მომხდარიყო მისი

თა, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთა-
ვთა ერისთავად“. მაგრამ ამ ორივე
ცნობას ეწინააღმდეგება სტეფანე
მტბევერის მიერ დაწერილი „გობრო-
ნის მარტილობაში“ ასახული რე-
ალობა. ნაწარმოები იწყება შემდეგი
სიტყვებით: „ამ სტეფანე მტბევერ
ეპისკოპოსმან დავნერე ბრძანებითა
აშოტ ერისთავთა-ერისთავისაითა“. აშ-
კარაა, რომ მარტივობის დაწერის
მომენტში აშოტ ერისთავთერისთავი
ცოცხალია. წინააღმდეგ შემთხვევაში
სტეფანე მტბევერი ამას აუცილებ-
ლად აღნიშნავდა. ამავე დროს, ამბის
თხრობისას ირკვევა, რომ აბულ-კა-
სისის ლაშქრობის დროს, 914 წელს,
ყველის ციხე გურგენ ერისთავთე-
რისთავის კუთვნილება ყოფილა.
სტეფანე მტბევერი წერს: „მოვიდეს
იგინი ციხესა მას ყველისასა, რომე-
ლი იყო გურგენ ერისთავთა ერისთა-
ვისა“ (201:176). სტეფანე მტბევერი
ყოველივეს თვითმიხილველია და მისი
ცნობები ყველაზე მეტად არის ანგა-
რიშგასანევი. ასეთ შემთხვევაში კი
გამოდის, რომ აშოტ კუხის სიცოცხ-
ლეშივე გურგენი უკვე იყო ერისთა-
ვთერისთავი. ჩვენი აზრით, სუმბატ
დავითის ძისა და, ალბათ, გიორგი
მერჩულეს შეცდომის მიზეზი გახდა
ის, რომ აშოტ კუხის გარდაცვალების
შემდეგ გურგენმა მემკვიდრეობით
მიიღო მისი მიწები და ეს ბუნებრივი
ცაა, რადგან გურგენი იყო უშვილო
ბიძის ერთადერთი მემკვიდრე. სუმ-
ბატმა და გიორგი მერჩულემ ალბათ
ამ ფაქტს დაუკავშირეს გურგენის
მიერ ერისთავთერისთავობის მიღე-
ბა. სავარაუდოდ, გურგენმა ერის-
თავთერისთავობა თავისი ძმის, და-

დავითის ძე: „სუმბატ კურაპალატი,
ძე ადარნასე ქართველთა მეფისა,
გარდაიცვალა ქრონიკონსა რ“ო“წ,
და დაუტყვენა ძენი ორნი: ბაგრატ
ერისთავთერისთავი, რომელი ქართ-
ველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და
ადარნასე კურაპალატი.“ ცხადია,
მისი ერისთავთერისთავობა 958
წლამდე გაგრძელდებოდა, როდესაც
ის ქართველთა მეფე გახდა. როდის
მიიღო ბაგრატმა ერისთავთერისთა-
ვობა უცნობია.

973 პარსხის სახარების მინაწერ-
ში ერისთავთერისთავად არის მოხ-
სენიებული ბაგრატ II-ის ძე სუმბატი,
„სალოცველად მეფეთა ჩუენთათვის
ღმრთივ დიდებულთა ბაგრატ ქართ-
ველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა
და სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა“. სუმ-
ბატმა ერისთავთერისთავობა, ალბათ,
958 წელს, მამის ქართველთა
მეფედ გახდომის შემდეგ, მიიღო მემ-
კვიდრეობით და 992 წლამდე, გარ-
დაცვალებამდე, შეინარჩუნა.

ამრიგად, კლარჯი ბაგრატიონე-
ბიდან ერისთავთერისთავები იყვ-
ნენ: აშოტ კუხი (888-891 წლიდან 918
წლამდე), დავით ადარნასეს ძე (896-
908 წლები), გურგენ დიდი (908-941
წლები), სუმბატ დავით მამფლის ძე
(988 წლამდე). ტაოელი ბაგრატიონე-
ბიდან – სუმბატ ადარნასე ქართველ-
თა მეფის ძე (958 წლამდე), ბაგრატ
ადარნასეს ძე (966 წლამდე), დავით
ადარნასეს ძე (966 წლიდან?), ბაგრატ
II (958 წლამდე), სუმბატ ბაგრატ II-ის
ძე (988-992 წლები).

ჩვენი მიერ ნახს ნყარობში
მხოლოდ სამი პირია მოხსენიებული
ერისთავობით. ერთი არის გურგენ

ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრა-
ტიონებში იყო ერისთავთ-ერისთავი.
888 წლის მერე კი შემდეგი სახის
იერარქია შეიქმნა: ქართველთა მეფე,
ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი. „ამა-
ვე დროს თითოეული ამ ტიტულის
მატარებელი იყო მეფე ე.ი. უმაღლესი
სიუხურნი. ვისაც აღნიშნული
ტიტული არ ჰქონდა, ის იყო არა მეფე,
არამედ მამფალი“. სუმბატ დავითის
ძის მიხედვით, პირველი ერისთავთ-
ერისთავი არის აშოტ კუხი. ამიტომ
888 წლამდე ტაო-კლარჯეთში ერის-
თავთერისთავის ტიტულის არსებობა
ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია.
ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული
ტიტულები, ალბათ, ერთდროულად
უნდა შემოსულიყო.

შ. ბაღრაძის მოსაზრებით, „მამ-
ფლობა, ქართველთა სახელმწიფოს
აბსოლუტისგან დამოუკიდებლობი-
სა და ავტონომიური მთავრობისაკენ
მისწრაფების გამოხატველი იყო. წი-
ნააღმდეგ „ერისთავობისა“ და „ერის-
თავთ-ერისთავობისა“, რომელიც
აბსოლუტისადმი დაქვემდებარებულ
სამოხელეო თანამდებობას წარმოად-
გენდნენ“. „მამფლის“ ინსტიტუტის
შესახებ ჩვენი მოსაზრება უკვე გა-
მოვთქვით.

ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ
„ერისთავი რომელსაც სხვა ერისთავი
თუ ერისთავები ჰყავდა ვასალებად,
ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა.
ეს იყო უდიდესი ხარისხი მეფის ხა-
რისხის შემდეგ“. მეცნიერისთვის მამ-
ფალი იყო ერისთავთერისთავზე და-
ბალი და ერისთავზე მაღალი პატივი
და „საზოგადოდ უდრიდა მთავარს“. თვითონ ტერმინიდან – ერისთავ-

ქართული ტიტულატურის სახელწოდება-კლარჯეთის სახელწოდება მამფალ ბაგრატიონთა დინასტიაში

ცხადია, რომ „მამფალი“ არსებობდა
მანამ, სანამ „ქართველთა მეფის“,
„ერისთავთერისთავისა“ და „ერისთა-
ვის“ ტიტულები განედებოდა ბაგრა-
ტიონთა საგვარეულობაში. „მამფლის“
და უფრო გვიან შექმნილი ტიტულე-
ბის ერთ სიბრტყეში დაყენება მცდარ
გვეგონა.

„რაც შეეხება მამფლობას – მი-
უხედავად იმისა, რომ მისი გენეზი-
სისა და განვითარების კონკრეტული
გზები ძნელად წარმოიდგინება, მას-
ზე უნდა ითქვას, რომ იგი ტიპური ად-
რეფეოდალური ხანის ინსტიტუტია“.

ესეც იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი,
რომ IX საუკუნის ბოლოს ქართული
ტიტულატურის შემოტანის შედეგად
შექმნილი ახალი იერარქიული სის-
ტემისათვის „მამფალი“ ზემოთ იყო.
ამას თითქოს ისიც ადასტურებს, რომ
დავით მამფლის გარდაცვალების
შემდეგ (946 წელი) არც ერთი ბაგ-
რატიონი „მამფლად“ აღარ იწოდება.

სუმბატმა მამფლობა გუარამის გარ-
დაცვალების შემდეგ მიიღო, თუ მა-
ნამდე ჰქონდა (ანუ ბაგრატიონებში
ერთდროულად ორი მამფალი იყო)
დაბეჯითებით ძნელი სათქმელია.

ალბათ, უფრო გუარამის გარდაცვა-
ლების შემდეგ გახდა მამფალი. ჩვენი
აზრით, სუმბატის შემდეგ მამფლობა
მემკვიდრეობით მიიღო ჯერ მისმა
უფროსმა ვაჟმა ბაგრატმა, ხოლო
შემდეგ მომდევნო ძმა დავითმა.

ჩვენთვის ცნობილი ოთხი მამფლი-
დან ორმა (გუარამმა, სუმბატმა) ეს
ტიტული მიიღო ქართული იერარქი-
ული სისტემის შემოღებამდე. კიდევ
ერთმა ბაგრატმა 889 წელს, როდესაც
ქართული იერარქიული სისტემა
ჩამოყალიბების პროცესში იყო. მხო-
ლოდ ერთი გახდა მამფალი მას შემ-
დეგ რაც ქართული იერარქიული სის-
ტემა ამოქმედდა. ეს ერთი შემთხვევა
გამონაკლისია და განპირობებული
იყო ალბათ იმით, რომ დავითის მამა
და ძმა მამფლები იყვნენ. ნიშანდობ-
ლივია, რომ არც ბაგრატიონი შეიღობი
(ოთხი ძე ყავდა) და არც დავითის
ვაჟი მამფლებად არ იწოდებიან.

ჩვენი აზრით, „მამფალი“ საპატიო
ტიტული იყო, რომელიც არსებობდა
აშოტ კურაპალატის მემკვიდრეების
პირველ სამ თაობაში. შემდეგ კი
გაუქმდა, როგორც ზემოთი ახლად
შექმნილი ქართული იერარქიული

დამცობა ერისთავობამდე. უფრო
მოსალოდნელია, რომ დავითი იყო
ჯერ ერისთავი და შემდეგ გახდა
ერისთავთერისთავი (ანალოგიური
შემთხვევა დაფიქსირებულია ბაგ-
რატიონთა შორის). მაგრამ, ჩვენი
აზრით, შესაძლოა, საქმე გვაქვს გა-
დამწერთა შეცდომასთან და მეორე-
დაც უნდა იყოს ერისთავთერისთავი.

მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ,
რომ სუმბატთან ტიტულები ძირითა-
დად დაქარაგმებულად არის მოცე-
მული: ერისთავთერისთავი - „ეე“ და
ერისთავი - „ეი“.

გურგენ დიდი 908-941 წლებში
იყო ერისთავთერისთავი (ის, ამავე
დროს, მაგისტროსის ტიტულსაც
ფლობდა). გურგენთან დაკავშირე-
ბით გასარკვევია ორი საკითხი. პირ-
ველი – ქართულ ისტორიოგრაფიაში
გვხვდება ხან, გურგენ, დიდი ერის-
თავთერისთავი და, ხანაც, გურგენ
დიდი, ერისთავთერისთავი. ზოგჯერ
ერთსა და იმავე ნაშრომშიც კი. ამას
ხელს უწყობს სუმბატ დავითის ძის
ცნობებიც. ერთგან ის წერს, „გურ-
გენ რომელი შემდგომად, მერე დიდი
ერისთავთ-ერისთავი იყო“. მეორეგან
კი აღნიშნავს: „გარდაიცვალა დავით
ერისთავი, ძმაი დიდისა გურგენისა“.

ჩვენი აზრით, უპიეთი – დიდი, უნდა
დაუკავშიროთ თავად გურგენს და
უნდა ვიხმაროთ გურგენ დიდი. მის
ასეთ ზედწოდებას სრულიად ამართ-
ლებს მისი სუმბატისეული დახასი-
ალებაც: „გურგენ ... რომელმან უმე-
ტესნი სიმხენი და ბრძოლანი ქმნა
ყოველთა მამათა მისთა და დაიმორ-
ჩილა ყოველნი გარემოსნი“. მეორე
– როდის გახდა გურგენი ერისთავთე-
რისთავი. სუმბატ დავითის ძის მიხედ-
ვით – „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი
ქრონიკონსა რ“ლ“წ, და არა ესუა
შვილი. და ამის შემდგომად, გურგენს,
ძმისწული მისი, ძე ადარნასესი და-
სუეს ერისთავთერისთავად“. ამრი-
გად, გამოდის, რომ გურგენმა ერის-
თავობა მიიღო თავისი ბიძის, აშოტ
კუხის გარდაცვალების შემდეგ, ანუ
918 წელს. ანალოგიურ ცნობას იძ-
ლევა გიორგი მერჩულეც: „მას ჟამსა
გარდაიცვალა ღმრთის მსახური იგი
ხელმწიფე (აშოტ კუხი-მ.ბ.) ... ხოლო
გურგენს, ძმისწული აშოტისა, დიდი
იგი ხელმწიფე ფრიადათა ნათესა-

ვითის გარდაცვალების შემდეგ, 908
წელს მიიღო.

ბაგრატიონთა მემკვიდრის მიხედ-
ვით, ერისთავთერისთავთა სუმბატ
დავით მამფლის ძე, „გარდაიცვალა
სუმბატ ერისთავთ-ერისთავი, კაცი
მართალი, ძე დავით მამფლისა, არ-
ტანუჯელი, ქრონიკონსა ს“წ.“ საინ-
ტერესოა, რომ გიორგი მერჩულე 951
წლისათვის სუმბატს ერისთავობით
მოიხსენიებს, „ერისთავობასა სუმ-
ბატისას, ძისა დავით მამფლისასა“.

როგორც ჩანს სუმბატი ჯერ ერის-
თავი იყო, ხოლო შემდეგ ერისთავ-
თერისთავობა ებოძა. როდის ებოძა
სუმბატს ჯერ ერისთავობა, ხოლო
შემდეგ ერისთავთერისთავობა, უც-
ნობია. ეს უკანასკნელი ტიტული მას,
სავარაუდოდ, 988 წლამდე, გარდაც-
ვალემამდე, ჰქონდა.

951 წლისთვის ერისთავთერის-
თავთა სუმბატ ადარნასე ქართველთა
მეფის ძე, „ერისთავთა ერისთავობასა
სუმბატისას, ძისა ადარნერსე მეფო-
სასა“. სუმბატ ადარნასეს ძესთან
დაკავშირებითაც გაურკვეველია თუ
როდის გახდა ის ერისთავთერისთა-
ვი. ალბათ, მანაც, გარდაცვალებამ-
დე, 958 წლამდე, შეინარჩუნა ტიტუ-
ლი.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

სუმბატ დავითის ძე ერისთავ-
თერისთავობით მოიხსენიებს ძმებს:
ბაგრატსა და დავით ადარნასეს
ძეებს: „გარდაიცვალა ადარნასე კუ-
რაპალატი ... დაუტყვენა ძენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთერისთავი.
გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავ-
თერისთავი, ძე ადარნასე კურაპა-
ლატისა, ქრონიკონსა რ“წ“, ხოლო
ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა
დიდად“. საინტერესოა, რომ ბაგრატი
ერისთავთერისთავად იწოდება ოშ-
კის ნარწერებშიც, მისი ძმა დავითი
ტი – არა. დავითი მოიხსენიება მაგისტ-
როსისადმი და ზოგადი ტიტული –
„მეფე“. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე,
რომ დავითმა ერისთავთერისთავის
ტიტული 956 წელს, ძმის გარდაცვა-
ლების შემდეგ მიიღო? ზუსტი პასუხი
არაა.

თერისთავი – გამომდინარე, მას მარ-
თლაც უნდა ჰყოლოდა ხელქვეითი
ერისთავები. თუმცა რეალურად არ
არსებობს არც ერთი შემთხვევა, რომ
ერისთავთერისთავს ჰყოლოდა ხელქ-
ვეითი ერისთავები (ანალოგიურად,
მეფეთ-მეფეს არ ჰყავდა ხელქვეითი
მეფეები).

ქართველთა მეფის, ერისთავთე-
რისთავისა და ერისთავის ურთიერთ-
მიმართების საკითხის გარკვევისას,
პირველ რიგში, უნდა გავითვალის-
წინოთ ნ. შოშიაშვილის შენიშვნა,
რომ ძალიან ხშირად ბაგრატიონი
ერისთავთერისთავები და ერისთავე-
ბი იწოდებიან მეფეებად (ამის დამა-
დასტურებელი მრავალი ფაქტი ჩვენ
სათანადოდ ადგილზე განვიხილეთ).

უკვე ამ მოცემულობიდან გამომ-
დინარე, ძნელია ვივარაუდოთ, რომ
ქართველთა მეფის ერთის მხრივ და
ერისთავთერისთავს შორის მეორე
მხრივ, იყო ისეთი იერარქიული და-
მოკიდებულება, როგორც მეფესა და
მოხელეს შორის. ასეთი რეალური
დაქვემდებარება რომ არ არსებობდა,
იქნებ ამიტომაც არაფერს ამბობს ამ
საკითხის შესახებ სუმბატ დავითის
ძე, რასაც ასე საყვედურობს მას ივ.
ჯავახიშვილი.

ჩვენი აზრით, სრულიად მისა-
ლებია შ. ბაღრაძის მოსაზრება, რომ
„არა მხოლოდ ფაქტიურად, არა-
მედ იურიდიულადაც „ქართველთა
მეფე“ განიხილებოდა არა როგორც
აბსოლუტი, ყველაზე მაღლა რომ
დგას იერარქიაში, არამედ, როგორც
პირველი მეფე უფლებით მასზე დაქ-
ვემდებარებულ მეფეთა შორის. არ-
სებულნი განსხვავების მიუხედავად,
იერარქიის სხვა საფეხურზე მდგომ-
ნიც, მისი თანასწორნი იყვნენ „სამე-
ფო ხელისუფლებაში“ მონანიელობის
თვალსაზრისით“.

ბაგრატიონი ერისთავთერისთა-
ვები და ერისთავები, რა თქმა უნდა,
გარკვეულწილად, ექვემდებარე-
ბოდნენ ქართველთა მეფეს (თუმცა,
ფაქტიურად, საკმაოდ ხშირად და-
მომკიდებლად მოქმედებდნენ და მე-
ფეს არც კი ემორჩილებოდნენ), მაგ-
რამ ეს არ იყო მოხელე-ერისთავის
დაქვემდებარება მეფისადმი, არამედ

მ. შოშიაშვილის თვალსაზრისით,
888 წლამდე „უმაღლესი ქართული

მ. შოშიაშვილის თვალსაზრისით,
888 წლამდე „უმაღლესი ქართული

მ. შოშიაშვილის თვალსაზრისით,
888 წლამდე „უმაღლესი ქართული

მ. შოშიაშვილის თვალსაზრისით,
888 წლამდე „უმაღლესი ქართული

მატიანო



ქველი ხვალციხე. XIX საუკუნის 80-იანი წლები

წეს-ჩვეულებები

ახალი წელიწადი

ახალწელიწადს მესხეთ-ჯავახეთში დღესაც დიდი მონივნებით და სიხარულით ხვდებიან, რომელსაც გლეხის ოჯახი წლიურ იღბლიანობას უკავშირებს. ამ მიზნით ახალი წლის წინა დღით ოჯახში აცხობენ ყველა სათვის საითაოდ „პედის პურებს“, საერთო დიდ „სახლის პურს“, რომელსაც შუაში უდებენ ვერცხლის ფულს. გარდა ამისა, აცხობენ კიდევ: „წმ. ბასილას“, რომელსაც კაცს ამსავსებენ; თვალბად უკეთებენ კაკლის გულის ლუნებს, „ცხვრის ჭუჭუტებს“, „ძროხის ჭუჭუტს“, „ქერისა“ და დიკის ორომს. დიკის ორომში დიკის მარცვლებს უდებენ, ქერის ორომს კი – ქერს. ქადა-ნამცხვარს და სხვ.

როცა გამოაცხობენ, დაპყვრილებიან ორომებს და რომელიც ძალიან იქნება ამობურცული (ამობურილი), იმ წელს კარგ მოსავალს მოელონ იქიდან, ძროხისა და ცხვრის ჭუჭუტები კი (რომელიც მართლა მიმგვანებულა ჭუჭუტებს), თუ კარგად გამოცხვება და თონები არ ჩავარდა, იმედი აქვთ, რომ მათ საქონელს არაფერი (ავადყოფობა) შეხვდება და არც ჭუჭუტები ასტკივია. აცხადებენ აგრეთვე „ხარის ქედს“ და თუ კარგი გამოცხვება, იმედი აქვთ, რომ იმ წელს მათ ხარებს ქედები არ ასტკივია, აცხობენ აგრეთვე ცულს.

ახალწლის წინაღობა, წესია, რომ რაც მეზობლებში აქვთ, ყველაფერს სახლში მიიტანენ, რომ რაც საკუთარი აქვთ ახალ წელს სხვასთან არ დარჩეს, თორემ „სახლი (ოჯახი) უკან წავაო“.

გაუთენებლივ შეჰკრავენ ტაბლას, რაზედაც არის: წმ. ბასილი, სახლის პური, ქათამი, თაფლი, ხილული და სხვა.

ახალწლის ღამეს სახლს სუფთად დაპყვრიან, დანმენდნენ და დანოლის დროს სახლში რამდენი სულიც არიან, იმდენ ჯამს პირველ დამბობენ, რომ ვითომ ანგვლოზი ჩამოვიდეს და ვინც იღბლიანია, იმის ჯამში ხორბლის მარცვლებს დასტოვოს, იტყვიან, რომ „პეფრჯულ, სუფთად დაავილო-მონმენდილი სახლში, დილით რომ მიესულვართ, მარცვლები გვინახასო“.

მთელ ახალ წლის ღამეს და დღესაც, სახლში გაუქრობლად ცეცხლი უნდა ენთოს. თუ ვინცობა და ცეცხლი გაიქრობა, რომ სახლი დანია-

დებო“ (სანათი უნდა აანთონ). ახალწლის ღამეს, გაუთენებლივ, სახლის უფროსი ადგება, ტაბლაზე სანთლებს აანთებს და სახლის ბანს (ერდოს) პირველად წერილ შემოუვლის სამჯერ, მერე ტაბლიდან აიღებს და „სახლის პურს“, ბანიდან ჩამოაგდებს სახლში. თუ პურის ყუა ბუხრისკენ არის, კაი წელიწადს მოელონ, თუ სახლის კარებისკენ – ვერ არის კარგი წელიწადი“.

ამას ჰქვია „პირველი მეკვლე“, შემდეგ ეს შევა სახლში და სამჯერ იტყვიან: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდე ღმერთო, ჩემი ფეხი კვალი ანგვლოზისა“. მიიტანს და ტაბლას აღმოსავლეთის მხარეს დასდებს. ტაბლიდან აიღებს პურს და საქონელს უკვლევს: „ახალწელიწადი მოგილოცეთო. კაი წელიწადი მოგვგართო“. მერე კიდევ ტაბლიდან აიღებს სამ ვაშლს და სამ რიგად შეუგორებს ცხვრებს: ერთ შუაზე, ერთს ერთსა, მეორეს – მეორე გვერდზე; მოგილოცავს ახალი წელიწადი, კაი შეგიდობიან წელიწადი მოგვგართო“, კაი წელიწადი კი მათთვის არის, რომ მგელიდან და სხვა ნადირიდან თავი არაფერმა აატკიოს.

ამის შემდეგ იგი მიდის წყალზე წყლის მოსატანად და წყალსაც ნაულებს „საკვლეულად“, ქერსა და დიკას, მივა წყალზე და მოილოცავს: „მოილოცავს წყალი ახალი წელიწადი, მიკვლევა შენთვის ქერი და დიკა, კაი წელიწადი შეგიფარებს, მრავალი ჭინახული, წყალი ხარ და მოგვე შენი წყალობა“. ამისგან და ერთ თუნ-გინასაც წყალს ნამოილებს იქიდან, შემდეგ ამ წყლით სადილს აკეთებენ და, საერთოდ, ყველანი სჭამენ.

ამას რომ მოიჩქება, მთელი სახლის ხიზანი ტაბლიდან აიღებს პურს, დადებს თაფლში და ურიცებს ყველას საითაოდ: „მოგილოცავთ ახალ წელიწადს, ასე ტკბილად დამიბრდიო“. ამის შემდეგ, ვინც გარეთ გავა, წინა დღით დაბოლილ შუშას აიღებს, ერთ ნაპობს ცეცხლს დააძვინ და იტყვიან: „ასე ცეცხლივით გაძლიერდეს ეს ოჯახი“. რამდენიც არიან სახლში, ყველა ასე უნდა მოიქცეს.

ამის შემდეგ მიდიან საყდარში, სადაც მღვდელი ლოცავს და პარაკლის გადისხდის. როცა იქიდან დაბრუნდებიან და მოვლენ სახლში, სახლიდან კაცს გაგზავნიან „მეკვლის მოსანგვედა“. მეკვლესთან რომ მივლენ, ხმაშაღლა არ დაუძახებენ: იმიტომ, რომ იმ წელს ხბო ან ბაგუვი მკვირალა და ტირალს არ გამოვიდესო. გარდა ამისა, ხიზან მეკვლე არ მივა ოჯახში, იქამდის არავინ შევა სხვის სახლში და იმ დღით ამას ყველა ერიდება.

მეკვლე თავის ოჯახიდან მიდის სუფრით, როცა სახლში შევა მეკვლე, ყველას ხელს ჩამოართმევს და ეტყვიან: „მოგილოცავს ახალი წელიწადი“ და ყველას ხილს ჩამოართმევს, სამაგიეროდ სახლიდანაც მეკვლეს ეტყვიან: „მტერი დაგარჩეს ხელცალკეო“. მერე დასვამენ იმ ადგილს, სადაც ჭილიბ ქვემ ქერი აქვთ თორბით. ამის შემდეგ გაიმართება მხიარულება და ქეფი. როცა იგი თავის სახლისკენ გასწავს წასასვლელად, იმ ქერს იღებს და თითონვე საკუთარი ხელით ქათამბატს გადაუყრის – „ასე გამრავლდითო“.

გარდა ამისა, ახალწელიწად დღეს სახლსაც არ დაგვიან, საციკველს გარეთ არ გასცემენ, საქონლის ნეხიც კი საღამოთი გააქვთ და სახლსაც კი საღამოთი გვიან, მეკვლე რომ წავა. ეს წესია, რადგან მათი წარდგენით ახალწლის დილით რომ სახლ დაგვიან, ნეხს გაიტანენ და საციკველი მისცენ ვინმეს, სახლის ბარაქა წავაო“. ამ დღეს ჩხუბსა და აყალმყალსაც ძალიან ერიდებიან, რომ შემდეგაც არ დაგვებდოსო. ვინმე თუ სხვან არის, ცდილობს თავის სახლში დაბრუნდეს ახალწელიწადს, თორემ იტყვიან: „გარეთ დარჩენა კარგი არ არის, ბედნიერი დღეა და სახლში უნდა იყვესო“. ამ დღით არ უნდა გატყნონ კაკალი, თხილი და სხვა, რომ ჭურჭელი არ დაინტრევიანო, ქალები თმას არ დაივარცხნიან, რომ „ყანები თხელი მოვაო“. მეკვლეს კი უფრო იმას იხვევენ, ვისი ფეხიც უნდება ოჯახს“.

ზეზონა

ახალწლის მეორე დღეს იციან „პედობა“, ამ დღით ყველა ცდილობს, რომ რაც შეიძლება ადრე ადგეს, საქონელს მოუაროს, დანმინდოს, ქალები კი ახალ-ახალ ტანისამოს იკერავენ. ამ დღით სამსე ერბოსა და თაფლის ქოთანს აშლიან, რომ ყველა წელიწადს დაგვებედოსო. ამ დღითვე იციან „პედის პურების“ ჭამა, რომელსაც, როგორც ვთქვი, ახალწლის წინა დღით აცხობენ. გასჭრიან „სახლის პურს“ ნანილ-ნანილად, სახლში რამდენიც არიან და ვისაც შეხვდება პურში ჩადებული ფული, ის მათი ფიქრით „იღბლიანია“.

კოტი-კოტი, ანუ ლაზარობა

თუ გვალვა იქნებოდა და მოსავალს უჭირდა, იციან კარი-კარი სიარული. ბოსლის ცოცხს შეჭავაზმენ ძლიერად, ორი ქალწული ქალი „ხელებიდან“ იჭერენ და ყველას კარზე დაჰყავთ და მღერაინ:

ლაზარ მოდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო, მიდგა-მოდგა თაროშიო, ხელი ჩაჭრა ქალაშიო, ცხრილი აგორებულაო, ნიშა გაჩერებულაო, ჩვენ არ გვიანდა ვირობიო, ღმერთო, მოგვე ტალახიო.

სახლის პატრონი გამოიტანს წყალს და ლაზარეს (ცოცხს) და გუგოებსაც გაუთხარს და მისცემს ან ფულს ან კვერცხს, რასაც გაიმეტებს, მერე ამით ყიდულობენ სათიფლს და სამოთხის ეკლესიაში ანთებენ, ზოგითაც თითონ ლხინობენ. ამის შემდეგ მიდის და ყანებს შველისო.

გარდა ამისა, ძველად (ასი-ასოცი წლის წინათ) სცილონით კიდევ: ქალები გუთანში შეჭამებოდნენ და წყალში გაათრევდნენ, რომ ნიშა მოსულიყო და მოდიოდა კიდევო.

ასეც იცოდნენ, რომ გვალვაზე წავიდოდნენ თათრების სასაფლაოზე, ამოიღებდნენ ერთი წლის (ახალი უფრო ჯობია) მეკვარს და უხმარებელი (ე.ი. სულ ახალი) ბარით თავს მოსჭირდნენ და წყალში ჩაავადებდნენ და წვიმაც მოვიდოდაო.

მთქმელი ბასილ ზაძარია ძე გომომლაძე, 70 წლის. ჩაინერა ბიორბი გომომლაძე 1937 წლის 15 ნოემბერს, სოფელი ბარაღეთი

ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატონთა დინასტიის

დასაწყისი გვ. 11

მხოლოდ, როგორც გვარის ნომინალური მეთაურისადმი.

ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი უმთავრესი მომენტი. როდესაც ერისთავი არის მოხელე – ადგილობრივი მმართველი, მის საგამგეოს ეწოდება „საერისთავო“ და ის არის დროებით მმართველობაში გადაცემული ტერიტორია. ერისთავი არ არის ამ „ქუეყნის“ პატრონი, ის არის მხოლოდ მმართველი, ადმინისტრაციული მოხელე. მაშინ, როცა სრულიად განსხვავებულია მისი სტატუსი თავისივე მამულის მიმართ. ამ შემთხვევაში, ის გამოდის როგორც პატრონი. არც ერთი ბაგრატიონი ერისთავთა ერისთავისა თუ ერისთავის კუთვნილი „ქუეყანა“ არ შეიძლება მივიჩნიოთ საერისთავოდ. ეს არ არის მათთვის დროებით სამართავად მიცემული ტერიტორია. ეს არის მათი მამული, მეგვიდრეობით მიღებული და რომელიც მათ ხელმეფებლად ეკუთვნით, განსხვავებით საერისთავოსაგან. თუკი არ არსებობს საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ცხადია, ვერ იარსებებს ერისთავიც, როგორც მოხელე, ადგილობრივი მმართველი. ჩვენი აზრით, ბაგრატიონებში ერისთავთა ერისთავი და ერისთავი იყო საპატრიარქო ტიტული, რომელსაც რეალური სამთავრო მინარსის არ ჰქონდა.

რაც შეეხება თავად ერისთავთა ერისთავისა და ერისთავის ერთიერთი მიმართება: ცხადია, ბაგრატიონის ურთისავად ჩათვლა ბაგრატიონ ერისთავთა ერისთავის ხელქვეით მოხელედ არ შეიძლება, ყოველივე ზემოთ თქმულის გამო. ჩვენი აზრით, ქართველთა სამეფოში არსებული ქართული ტიტულები: ქართველთა მეფე, ერისთავთა ერისთავი და ერისთავი გამოხატავდა არა ადმინისტრაციულ იერარქიას, არამედ სოციალურ სტატუსსა და ურთიერთმიმართებას.

დასკვნის სახით შეიძლება დავთქვათ: „ქართულთა მეფის“ ტიტულს ფლობდნენ: ადარნასე დავითის ძე (888-923), დავითი ადარნასეს ძე (923-937), ბაგრატ ადარნასეს ძე (937-945), ბაგრატ II რეგუენი (958-994), დავით კურაპალატი (994-1001), ბაგრატ III (1001-1014). ბაგრატიონებში მეფეთ-მეფის ტიტულის პირველი მფლობელი ბაგრატ III-ის მამა გურგენი იყო. ბაგრატიონებში ოთხი პიროვნება იწოდებოდა მამფლად. გურამ ამოფის ძე (+ 882), სუმბატ ადარნასეს ძე (+889) და მისი ძეები ბაგრატი (+906) და დავითი (+946).


ერისთავთა ერისთავები იყვნენ: აშოტ კუხი (888-891 წლიდან 918 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (896-908), გურგენ დიდი (908-941), სუმბატ დავით მამფლის ძე (988 წლამდე), სუმბატ ადარნასე ქართველთა მეფის ძე (958 წლამდე), ბაგრატ ადარნასეს ძე (966 წლამდე), დავით ადარნასეს ძე (966 წლიდან), ბაგრატ II (958 წლამდე), სუმბატ ბაგრატ II-ის ძე (958-992). წყაროებში მხოლოდ ორი პირია მოხსენიებული ერისთავობით: გურგენ ბაგრატ მამფლის ძე (+923) და დავით ადარნასე ქართველთა მეფის ძე (897-923).

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის გულშემატიკისა და საონსორის ოთარ თათიშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ახალი გამოცემები

ახალციხური თვილივრანი

ახალციხის ონლიან პლატფორმაზე ჩატარდა კატალოგის ახალციხური ფილიგრანი“ პრეზენტაცია. კატალოგი მომზადდა და გამოიცა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტიურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „ფილიგრანი XIX-XX საუკუნეების ქართულ ლითონქანდაკელობაში“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი ნია ლომოურის მიერ. გამოცემისთვის მასალა შეიკრიბა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების კოლექციიდან. შერჩეული ექსპონატები წარმოადგენენ უნიკალურ მასალას, რადგან აღნიშნული კოლექციის შესახებ ფუნდამენტური კვლევა დღემდე არ გამოქვეყნებულა. გარდა ამისა, ნამუშევრები გამოირჩევიან მაღალმხატვრული ღირებულებებით, რომლებიც განეკუთვნებიან XIX-XX საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანეს ნამუშევრებს.



ნეს საოქრომჭედლო ცენტრს, კერძოდ, ახალციხური ფილიგრანის სკოლას. რეპერტუარში კარგად ჩანს ახალციხელი ოსტატებისა და თბილისელი მხატვრების კოლაბორაციული შრომის შედეგები. XX საუკუნის დასაწყისიდან ახალციხური სკოლით კავკასიის მნიშვნელოვან კომპლექტი ინტერსდება და უზრუნველყოფს ნამუშევრების რეალიზებას საერთაშორისო მასშტაბით – ახალციხელი ოსტატებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღონ ისეთი მნიშვნელობის ღონისძიებებში, როგორც იყო 1900 წლის პარიზის უნივერსალური გამოფენა და კონკურენცია გაენიათ გენუას ცნობილი საოქრომჭედლო ცენტრისთვის. ორნოვანი კატალოგის გამოცემა მიზნად ისახავს აღნიშნული საოქრომჭედლო ცენტრის პოპულარიზაციას უფრო ფართო სამეცნიერო სფეროში. ვთვლით, რომ უფრო მეტმა ადამიანმა უნდა იცოდეს ახალციხელი ოსტატების ინოვაციური, განსხვავებული და საინტერესო რეპერტუარის შესახებ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ლაგვუქნალები:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რედაქცია საარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატვათა ექვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გვიკოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარსი“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meshketi@gmail.com lit – meshketi@yahoo.com